პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. ც., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
მის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 263 ხუთშაბათი, 15 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500.000 მ. ნ. № 263

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

იტალიაში განზრახულია სამსახურიდან დაითხოვონ 18.000 რკინიგზელი.

პოლონეთის მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს კრაკოვის აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ.

ბავარიის ფაშისტებმა მოითხოვეს კარს დაპატიმრებულ ფაშისტების განთავისუფლება.

ბერლინში გრძელდება მბეჭდავთა გაფიცვა; მთავრობა მათ სასტიკი ზომების მიღებით ემუქრება.

ბერლინში ტრამვაის ბილეთი ღირს 30 მილიარდი მარკა.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 16 ნოემბერს.

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვათ საკითხი

„კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის“.

მოხსენებას უჯრედებთან მიმაგრებული ამხანაგებისათვის გააკეთებს ამხ. **მიასნიკოვი** პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე.

დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

პოლონეთში

პოლონეთის პროლეტარიატის გრანდიოზული საგაფიცვო მოძრაობა და ადგილობრივი ხასიათის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც, როგორც მკითხველებმა იციან, ამ დღეებში დამარცხებით დამთავრდა,—მრავალმხრივაა საგულისხმო.

პოლონეთის პანები უკიდურესი აგრესიულ, იმპერიალისტურ ზრახვებს ატარებენ აღმოსავლეთის მეზობლის, დიდი საბჭოთა ქვეყნის მიმართ. გაფართოება საბჭოთა ტერიტორიის ხარჯზე და საბოლოო ანგარიშით მოსპობა საბჭოთა ხელისუფლებისა,—აი, რა შეადგენს მათ ოცნებას.

ამასთან დღევანდელი პოლონეთი ფაქტიურად ვასალურ მდგომარეობაშია საფრანგეთის მიმართ, რომელსაც მისთვის დაკისრებული აქვს განსაზღვრული ამოცანა: როგორც ბუფერულ სახელმწიფომ, მან უნდა შეაკავოს სოციალისტური ქვეყნიდან მომდინარე რევოლიუციის ტალღა და ყოველთვის მზად იყოს, თავის ბატონის პირველ დაძახებისთანავე, თავისი ურდოები შეუსიოს მშრომელთა სამეფოს.

ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ბოლო დროს პოლონეთ-რუსეთის დამოკიდებულებაში, როგორც: საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მოკვლა პოლონეთის ხელისუფალთა მიერ, პოლონეთის ტერიტორიიდან ბანდების გადმოსვლა რუსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დასარბევად და მათი თავდასხმა საბჭოთა მატარებელზე, აღმაშფოთებელი შევიწროება-დევნა ჩვენი კავშირის მოქალაქეებისა პოლონეთში და სხვ.,—მოწმობდნენ, რომ პანების პოლონეთი, ეჭვი არაა, საფრანგეთის მთავრობის დასტურით, პროვოკაციას ეწეოდა, რათა გაერთულებინა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა. საჭიროა აღინიშნოს, რომ პოლონეთის მთავრობის უკანასკნელი, ზევით ჩამოთვლილი ნაბიჯები გარკვეულ ელფერს იღებენ გერმანიის ამბებთან დაკავშირებით. ეს ნიადაგის მომზადება იყო რუსეთთან ბრძოლისათვის იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო იმპერიალიზმი, გერმანიის რევოლიუციის განადგურების შემდეგ, შეტევით წამოვიდოდა საბჭოთა რესპუბლიკის დასამხობად.

მაგრამ გამოირკვა ყველასათვის,—ჩვენთვის ეს იმ თავითვე ნათელი იყო,—რომ თვით პოლონეთში დაგროვილია დიდი ასაფეთქებელი მასალა, რომ პოლონეთის პანების მებრძოლ იმპერიალიზმს ზურგს უკან არ მოეპოვება საიმედო და მძლავრი დასაყრდენი ძალა.

ეს სავსებით გამოააშკარავა პოლონეთის პროლეტარიატის უკანასკნელმა რევოლიუციონურმა გამოსვლებმა. პოლონეთში ერთმანეთთან გადაკვანძულია კლასობრივი და ნაციონალური ინტერესები.

მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა, უუფლებო პოლიტიკურად, ამავე დროს უკიდურეს ეკონომიურ პირობებში იმყოფება.

ბურჟუაზიულ და მემამულეთა პოლონეთის მეურნეობა თანდათან ინგრევა; ფინანსები ქაოტიურ მდგომარეობაშია. პოლონეთის მესვეურებმა ვერ შესძლეს ქვეყნის ეკონომიკის დაშლის პროცესის შეჩერება.

კაპიტალისტები და მემამულეები სხედან მშრომელი ხალხის კისერზე. მას აწევა გადასახადების მთელი სიმძიმე. მუშების ხელფასი საარსებო მოთხოვნილებათა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. ღატაკი გლეხობა მოკლებულია მიწას. ნივთიერი გაჭირვების და სიმშილობის ნიადაგზე დიდი ღელვებაა ყველგან.

ამასთან პოლონეთს აწუხებს უზომო სამხედრო ხარჯები.

სასტიკ დევნას განიცდიან აგრეთვე ეროვნული უმცირესობანი: ებრაელები, უკრაინელები და სხვები, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ უფლებებს და ნაციონალურ განვითარების საშუალებას.

ამგვარად, პოლონეთის დღევანდელი მესვეურების წინააღმდეგ შექმნილია ერთიანი ფრონტი რევოლიუციონური პროლეტარიატის და ნაციონალურ უმცირესობათა.

ასეთმა ვითარებამ გადმოხეთქა „მშვიდობიან“ კლასობრივ ბრძოლის კალაპოტი და გრანდიოზულ გაფიცვებსა და აჯანყებაში გაიშალა. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში გამოაშკარავდა რევოლიუციონური განწყობილება პოლონეთის ჯარის ნაწილის, რომელიც აჯანყებულთ მიემხრო.

მართალია, პოლონეთის მშრომელი მასის გამოსვლები ამ ხანად დამარცხებით გათავდა, და ეს პირველ ყოვლისა ე. წ. სოციალისტური პარტიის ღალატის წყალობით.

მართალია, რომ ერთხელ კიდევ გაიმარჯვეს პანებმა, რომელნიც შეუდგნენ შურისძიებას და მასიურ რეპრესიებს კომუნისტური პარტიისა და რევოლიუციონურ მუშების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, პოლონეთში მომხდარ ამბებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა.

ცხადი გახდა, რომ პოლონეთის იმპერიალიზმის შინაგანი ძალები შერყეულია საფუძვლიანად; რომ პოლონეთი განიცდის ღრმა ეკონომიურ კრიზისს, რის გამო მშრომელი ხალხი მოთმინებას კარგავს და ქუჩაში გამოდის არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ვერავითარი დროებითი დამარცხება ვერ გასტეხს პოლონეთის მებრძოლ პროლეტარიატს. ამ დამარცხების გაკვეთილებს ის სათანადოთ გამოიყენებს; „სოციალისტურ“ პარტიას, რომელმაც გასცა ის, გასცემს შესაფერ პასუხს და კვლავ შეუდგება რიგების გადახალისებას, ძალების მობილიზაციას ახალი ბრძოლისათვის.

პოლონეთის კომუნისტური პარტია შესძლებს მშრომელი მასის დარაზმვას და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევას.

თანამედროვე სოფლის შესახებ

II

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოფლის ეკონომიურად ჩამოქვეითება თავის ბეჭედს ასვამს იქ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასაც. რამდენადაც ვიცი, აპრილში იყო გამოცემული ამიერ-კავკასიის ცაკის მიერ დეკრეტი ადგილობრივ განმანათლებელ დაწესებულებების ადგილობრივ ხარჯებზე გადასვლის შესახებ. თავის თავად გასაგებია, თუ როგორ მდგომარეობაში ჩააგდებდა ეს სოფლებში კულტურულ მუშაობას მაშინ, როდესაც სოფლის პროდუქციის ფასი ეცემოდა. მრავალ სამკითხველოებმა ვერ შესძლეს გაზეთის გამოწერა და დაიკეტენ. მაგ. [illegible] გურიის სოფელ შუხუთში ორი სამკითხველო იყო გასაბჭოების პირველ ხანებში. ეხლა კი ერთი სამკითხველო სიძნელით არსებობს და ისიც ამ ახლო ხანში ამოქმედდა მხოლოდ ზოგიერთი ამხანაგების დახმარებით. თუ ასეა გურიის სოფლებში, უნდა ვიგულისხმოთ, უფრო ჩამორჩენილ სოფლებში საქმე გაცილებით უარესათ იქნება. ამავე დროს აშკარაა, რომ სოფლის მცხოვრებლები დღეს გაზეთებს არ იწერენ და არც შეუძლიანთ გამოიწერონ. თუ სამკითხველომაც არ იარსება—მაშინ მათ სავსებით მოესპობათ საშვალება ჩვენი სწორი ცნობების გაგებისა და ადვილათ წამოეგებიან სხვა პარტიების მიერ გადმოსროლილ ანკესზე.

ავიღოთ სკოლის საკითხი. გურულები იმდენათ შეეჩვიენ სწავლას, რომ მათ არ შეუძლიათ შვილები დაწყებით სკოლებში მაინც არ გაგზავნონ. სკოლისათვის კა ბინის შოვნა ძნელი საქმეა. ადგილობრივი ამხანაგები იძულებული არიან დაიქირაონ მრავალ ადგილას შენობები. ეს კი მეტად უხერხულ მდგომარეობას ქმნის. ერთ თემში მაგალითად ჯერ კიდევ ამ 22 წლის წინეთ არის დაწყებული სკოლის შენობის აშენება. რომ ის დამთავრებულიყო, ბინის მხრივ ამ თემის მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ. მაგრამ მისი დამთავრება შეუძლებელი დარჩა, მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი გლეხკაცობა თავდადებით მუშაობდა ამ საქმეზე. საჭირო შეიქნა ხე-ტყის მასალის ყიდვა (საკვირველია, რატომ შუხუთელ ამხანაგებს ასეთი დიადი საქმისათვის ამ მასალას არ უთმობენ თუ უფასოთ არა, დაკლებულ ფასებში მაინც) და სხვ., რისთვისაც ფულია საჭირო. ფულის შეკრება კი არ არის დღეს სოფელში ადვილი საქმე, რადგან გლეხის ერთად ერთ შემოსავალს—სიმინდს კარგი ბაზარი არ აქვს. ამრიგად უსახსრობის გამო შენობის დამთავრება და მოწყობა შეჩერებულია.

ავიღოთ მეორე მაგალითი. ქ. ლანჩხუთში დაწყებულია თეატრის აგება. თუ ეს საქმე დამთავრდა, გურიას შეემატება შესანიშნავი კულტურული დაწესებულება. აქაც უფასოთ მუშაობენ გლეხები, მაგრამ ხარჯები მაინც აუარებელია საჭირო. ყველა ამ ხარჯების დაკმაყოფილება და მაშასადამე თეატრის თავის დროზე აშენება, დღევანდელ პირობებში დიდათ ძნელია. როგორც ვთქვი, მთავარი ხელის შემშლელი პირობა, ეს სოფლის ეკონომიური სისუსტეა.

სოფლებში იშვიათად შეხვდებით სახალხო სახლს. აქა-იქ ადგილობრივი ამხანაგებს ყოფილი ეკლესიები გადაუკეთებიათ სახალხო სახლათ. ასეა მაგალითად იმავე შუხუთის თემში. ეკლესიაში მოუწყვიათ დასაჯდომი ადგილები, სცენა და სხვ. იქ იმართება მასსიური კრებები, წარმოდგენები და სხვ. უწინ კი ეკლესია სულ ცარიელი იყო და არავინ არ დაიარებოდა ღმერთების სალოცავათ.

უნდა ითქვას, რომ იმ მეტად მძიმე პირობებში, რომლებშიაც უხდებათ მუშაობა ადგილობრივ ამხანაგებს, მათ ძლიერ ბევრის გაკეთება შესძლეს. ასე მაგ. მათ შუხუთში გაუხსნიათ შრომის მეორე საფეხურის სკოლა, გაუშენიათ ტბა და სხვ. ყველა ეს და აგრეთვე სახალხო სახლის დახურვა გმირობათ უნდა ჩაითვალოს. ამას კარგად ხედავს ადგილობრივი ხალხი, რომელიც მიმდინარე არჩევნებში ნდობას უცხადებს ჩვენს პარტიას. მაგალითად, ჩემს სოფელში ყოფნის დროს, მოწვეულ იქნა მშრომელთა საერთო კრება ეკლესიაში. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. დიდის ენთუზიაზმით იქნა არჩეული ახალი საბჭო შემდგარი კომუნისტებისა და პატიოსანი უპარტიოებისაგან.

არ შეიძლება აქვე არ შევეხო გზების საკითხს. გზები საშინელ მდგომარეობაშია. ისინი თანდათან ინგრევიან. ყურადღება კი ჯერ არ მიუქცევიათ. ამავე დროს გზების გაკეთება დიდ ხარჯებს არ გამოიწვევს, რადგან ქვის შოვნა უფასოდ შეიძლება და გლეხებიც სიამოვნებით გამოვლენ ასეთ სამუშაოზე. ეს გზები ადგილობრივი მნიშვნელობის არიან. ისინი ეხლა ძალიან გაფართოვებულია, მაგრამ ადგილობრივი მთის მდინარეების მიერ გაფუჭებული. ქ. ლანჩხუთიდან შუხუთისაკენ მიდის ქ. მარქსის ქუჩა და სწორეთ ეს ქუჩა არის ყველაზე უფრო საშინელ მდგომარეობაში. ამ გზის გაკეთებას არ აქცევდნენ მენშევიკები ყურადღებას. ჩვენმა ამხანაგებმა კი ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოთ უნდა დასვან და გადასჭრან. ჩვენი გადაწყვეტილება ამ მხრივ საუკეთესო გამოხმაურებას იპოვნის ადგილობრივ გლეხკაცობაში.

ქ. ორაგველიძე.

სოფელი და ქალაქი

სოფლისა და ქალაქის ეკონომიური დამოკიდებულება არანორმალური ხასიათისაა დღეს. ამას დღეს ყველა აშკარათ ამჩნევს და ბაასის საგნათ ხდის.

ასეთი არანორმალური ეკონომიური დამოკიდებულება ახლა როდია. ის არსებობს უკვე, შეიძლება ითქვას, ექვსი წელი, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ, სანამ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მტკიცეთ გაიდგამდა ფესვებს, ეს დამოკიდებულება ერთ უკიდურესობაში იყო გადავარდნილი, ხოლო დღეს კი, როდესაც ყველაფერი ფულის ანგარიშზეა გადასული, მეორე უკიდურესობაში იმყოფება.

მაგალითად, წინათ სოფელი ქალაქს ნაკლებათ აძლევდა თავის ნაწარმოებს, რადგანაც მაშინ ქალაქი ძალიან ღარიბი იყო და სამაგიეროს ეკვივალენტს ვერ მისცემდა სოფელს. მაშინ ქალაქის მთელი ინდუსტრია სულ ერთიანათ განადგურებული იყო და მრეწველობას საშვალება არ ქონდა დაეკმაყოფილებია სოფლის მეურნეობის საჭიროებანი თავის ნაწარმოების მიწოდებით. ამიტომ ისეთი შემთხვევებიც კი ყოფილა (მაგალითად, რუსეთში სამოქალაქო ომის დროს), რომ გლეხები პირდაპირ სწვავდენ პურს, ან და მიწაში მარხავდენ, ხოლო ქალაქს კი არას შემთხვევაში არ აძლევდენ თავისი ნებით, ვინაიდან ისინი მაშინ ვერ პოულობდენ იმ ნივთებსა თუ საგნებს, რომლების დამზადება მხოლოთ ქალაქის საქმე იყო, და რომლებიც დიდათ ესაჭიროებოდათ გლეხებს. გლეხები ხომ უკიდურესი რეალისტები არიან და ეს წვრილ ბურჟუაზიული რეალიზმი კი უკარნახებდა მათ მაშინდელ პირობებში ყოველ ღირებულებაში სამაგიერო ღირებულება აეღოთ.

ასეთი იყო მდგომარეობა წინათ, როდესაც ქალაქში ეკონომიური მაჯისცემა შეჩერებული იყო გააფთრებული სამოქალაქო ომის გამო. ცხადია ასეთი არანორმალური დამოკიდებულება სოფელსა და ქალაქს შორის ფაქტიურათ შეეხებოდა ქალაქის მუშისა და გლეხის დამოკიდებულებას, რაც, რასაკვირველია, ასუსტებდა მუშისა და გლეხის მტკიცე კავშირს რევოლიუციონურ ბრძოლაში. ამიტომ იყო, რომ ჩვენმა ბელადმა ამხ. ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი მუშის და გლეხის მტკიცე კავშირის შესახებ და ეკონომიური პოლიტიკის კურსიც ამ კავშირის განმტკიცების სასარგებლოთ მოატრიალა, მთელი სახელმწიფო გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე. მაგრამ იმ გარემოებას, რომ, ჯერ ერთი, იმპერიალისტური ომისა და შემდეგ სამოქალაქო ომის გამო მრეწველობა შეჩერდა და დაეცა, თავისი გავლენა მოახდინა ჩვენს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებაზე და მეორე უკიდურესობაში გადააგდო სოფლისა და ქალაქის სამეურნეო დამოკიდებულება.

თუ წინად ქალაქს არ ქონდა ის, რაც ესაჭიროებოდა სოფელს და ამიტომ ეს უკანასკნელიც ეჭვის თვალით უყურებდა პირველს, ვინაიდან ვერ ღებულობდა ქალაქისაგან საბადლო ღირებულებას, დღეს ქალაქს აქვს ყველა ის, რაც საჭიროა სოფლისთვის, და მასთან გაცვლა-გამოცვლაც ხდება იმ წესით, რა წესიც სამართლიანად და კანონიერად მიაჩნია გლეხს, როგორც წვრილ ბურჟუას.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერი სამეურნეო ანგარიშიანობაზეა გადასული, მაინც არანორმალური ეკონომიური დამოკიდებულებაა შექმნილი სოფელსა და ქალაქს შორის.

საქმე იმაშია, რომ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებისა და ქალაქის ინდუსტრიის ნაწარმოების ფასები სრულებით არ ეთანაბრება ერთი მეორეს. დღეს სოფელს არ შეუძლია შეიძინოს ქალაქის ნაწარმოები იმიტომ კი არა, რომ, ვითომ ასეთი ქალაქს არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ ფასები ამ სამრეწველო ნაწარმოებზე ძალიან მაღალია, ხოლო სოფლის პროდუქტებზე სულ ერთიანათ დაცემული. პროცესი ფასების ზრდისა კიდევ უფრო ართულებს ამ მდგომარეობას.

გაზეთებში დაიბეჭდა საუბარი ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილესთან, ამხ. ს. მ. იზმაილოვთან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ საქონლის სიძვირეს. ამ საუბარში ამხ. იზმაილოვი ეხება ფასებს სასოფლო მეურნეობისა და ქალაქის ინდუსტრიის ნაწარმოებებზე და ამბობს, რომ „1922 წლის 21 სექტემბრიდან 1923 წლის 21 სექტემბრამდე სასოფლო-სამეურნეო საქონელი გაძვირდა 44 ჯერ იმ დროს, როდესაც მრეწველობის პროდუქტებზე ფასებმა მოიმატა 137 ჯერ“.

ასეთია პროცესი ფასების ზრდისა სოფლისა და ქალაქის ნაწარმოებებზე, რაც დიდათ აძნელებს მუშისა და გლეხის კავშირის განმტკიცებასა და გვემუქრება განხეთქილებით, თუ დროზე არ გაუწიეთ ექიმობა საუკეთესო წამლებით. ეს კი შეუძლია ჩვენს სამეურნეო ორგანოებს, რომლებმაც მუდამ სახეში უნდა იქონიონ ეს და გადასდგან სათანადო ნაბიჯები ამ არანორმალობის მოსასპობათ თუ სავსებით არა, საგრძნობლათ მაინც. უპირველესათ ყოვლისა ეს უნდა იკისრონ ჩვენმა მომხმარებელმა კოოპერატივებმა და სახელმწიფოს სავაჭრო დაწესებულებებმა. მათ ყოველ ზომას უნდა მიმართონ, რათა დაუკლონ ფასები ისეთ ნაწარმოებებზე მაინც, რომლებიც წარმოადგენენ პირველ მოთხოვნილების საგნებს სოფლისთვის, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ასწიონ ფასები სოფლის ნაწარმოებებზე.

ქ. კომუნაძე.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

ფაშიზმის თარეში. ბავარიის ფაშისტებმა მოითხოვეს კარს დატუსაღებულ ფაშისტების განთავისუფლება.

გამოშვებულ მოწოდებაში საქსონიის ფაშისტები აღნიშნავენ მათი რიგების გაერთიანების აუცილებლობას.

კომპარტიის მოწოდება: გერმანიის კომპარტიის ცეკას მიერ გამოშვებული მოწოდება აღნიშნავს სიძვირის საშინელ ზრდას. კომპარტია მოუწოდებს მუშებს მოითხოვონ პური, სამუშაო და თავისუფლება.

გაფიცვების ტალღა: ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება; მწარმოებლები ითხოვენ მუშებს. მთავრობა პროფკავშირის ხელმძღვანელთ ემუქრება.

მბეჭდავთა წარმომადგენლების კრება გარეკილ იქნა პოლიციის მიერ.

სტინესის „სურვილი“: სტინესმა განაცხადა, რომ მისი „სურვილია“ ხელში ჩაიგდოს ნავთის მსოფლიო წარმოება; მათ შორის, კავკასიის ნავთიც.

მუშურ-გლეხური მთავრობისათვის

კიდევ ერთი მოთხოვნილება

ბერლინი. 12 ნოემბ. მიწის წვრილი მოიჯარადრეების რადიკალური კავშირის კონფერენციამ ჰალეში, რომელსაც დაესწრო 2000 დელეგატი, მოისმინა მოხსენება ს. ს. რ. კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის და გლეხთა საერთაშორისო კონფერენციის შესახებ. მოხსენებების გამო კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვს მუშურ გლეხური მთავრობის შექმნას.

გლეხები მოწოდებას გამოეხმაურენ.

ბერლინი. 12 ნოემბ. მიწის მოიჯარადრეთა ბადენის კავშირის 220 ადგილობრივ იაჩეიკების თათბირი, რომელიც გაიმართა ფრეიბურგში (პროვინცია ბადენი) შეუერთდა მოსკოვში მოწვეულ საერთაშორისო გლეხთა ყრილობის რეზოლიუციას.

მოლაპარაკების უშედეგოთ დასრულებისათვის პასუხისმგებლობას ამერიკის მთავრობა საფრანგეთს აკისრებს.

სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ

კიცხავენ ბელადების პოლიტიკას.

ბერლინი. 12 ნოემბ. საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელი მუშაკების თათბირებზე დრეზდენში, ხემნიცში, პლაუენში და ცვიკაუში მიღებულია რეზოლიუციები, რომლებიც სასტიკად კიცხავენ პარტიის ც. კ. და აგრეთვე საქსონიის ლანდტაგის სოც-დემოკრატიული ფრაქციის პოლიტიკას.

კომპარტიის მოწოდება

„მოგვეცით პური, სამუშაო და თავისუფლება“.

ბერლინი. 12 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის ცეკა გამოშვებულ მოწოდებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუხედავათ სექტის ღონისძიებისა, სიძვირე მატულობს. მტკიცე ვალიუტა არ მოიპოვება და მაღალი ფასები ბაზარზე უსპობს მრეწველობას მეტოქეობის საშუალებას მსოფლიო ბაზარზე. 4 ნახ. მილ. უმუშევარი დამშეულია. ამავე დროს ფაშისტები არბევენ ებრაელებს. მოწოდება მიმართავს მუშებს მოაწყონ მასიური დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგებით: „პური დამშეულთათვის“, „სამუშაო უმუშევართათვის“ და „თავისუფლება მშრომელთათვის“.

გაფიცვის ტალღა

მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება.

ბერლინი. 12 ნოემბ. ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება. გამოდის მხოლოდ: „ფორვერტსი“, „დოიჩე ცეიტუნგი“ და „დერ დეიჩე“.

სახელმწიფოებრივ ქაღალდების დამზადების ექსპედიციის გაფიცვა გრძელდება.

მწარმოებლები ითხოვენ მუშებს და მოსამსახურეებს.

სექტს და პოლიციას მუქარით სურთ ჩააქრონ გაფიცვა. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა რიხტერმა პროფკავშირთა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის დააპატიმრებს მბეჭდავთა პროფკავშირის წარმომადგენლებს და გაგზავნის მათ ადგილებზე „ტეხნიკურ დახმარებას“ (შტრეიკბრეხერებს), თუ გაფიცვა დაუყოვნებლივ არ იქნება შეწყვეტილი.

სექტი ახალ განკარგულებაში იმუქრება სასტიკი სასჯელით ყველა იმ გაფიცულებს, რომელნიც მოხსნიან შტრეიკბრეხერებს.

მბეჭდავთა წარმომადგენლების თათბირი, რომელიც დღეისათვის იყო დანიშნული, გარეკილ იქნა პოლიციის მიერ. სამშაბათისთვის დანიშნულია ახალი თათბირი.

მბეჭდავთა პროფკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებასთან.

გოტის მბეჭდავები უერთდებიან ბერლინის ამხანაგებს.

გოტაში მბეჭდავები მოითხოვენ ადგილობრივ დახურულ კომუნისტურ გაზეთის გამოცემის განახლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში 15 ნოემბრიდან გაფიცვის გამოცხადებით იმუქრებიან.

ფაშისტების თარეში

ფაშისტების თავხედობა.

ბერლინი. 12 ნოემბ. ბავარიის „ნაციონალური კავშირები“ მოითხოვენ კარისაგან დატუსაღებული ფაშისტების განთავისუფლებას და აგრეთვე ფაშისტური ორგანიზაციების დაშლის შესახებ ბრძანების გაუქმებას.

ორშაბათს გაიმართა სტუდენტთა ორი დემონსტრაცია ფაშისტების დევნის წინააღმდეგ. დემონსტრაციები დაშალა პოლიციამ.

ფაშისტების კავშირის „ობერლანდ“-ის კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც უნდობლობას უცხადებენ კარს.

საქსონიის ფაშისტები ამოძრავდნენ.

ბერლინი. 12 ნოემბ. საქსონიის ფაშისტებმა გააძლიერეს თავისი მუშაობა და აგიტაცია. მათ გამოუშვეს მოწოდება ფაშისტური რაზმების შექმნის შესახებ. საქსონიის ფაშისტები მხარს უჭერენ კარს.

კომუნისტ მინისტრის ცოლის დაპატიმრება.

ბერლინი. 12 ნოემბერი. იენში დააპატიმრეს ტიურინგიის კომუნისტ-მინისტრის კორშის მეუღლე.

ფაშისტები აწამებენ მუშებს.

ბერლინი. 12 ნოემბ. კომუნისტური პარტიის არალეგალური ორგანოს „წინ, რევოლიუციისაკენ კომპარტიასთან ერთად“ გადმოცემით ლიმბახში და სხვა ქალაქებში რეიხსვერის ფორმაში გადაცმულმა ფაშისტებმა დაატუსაღეს მუშები და მათრახებით სცემეს მათ. ხემნიცში დაატუსაღეს მუშათა დახმარების კომისია და ხელებაწეული გააჩერეს 18 საათის განმავლობაში. ხემნიცში სამსახურიდან დაითხოვეს მრავალი მუშა, მათ შორის 1500 კომუნისტი.

კრონპრინცის დაბრუნების გარშემო

თვალს უხვევენ მუშებს.

ბერლინი. 12 ნოემბ. ხალხის თავისუფლების ტევტონური პარტიის ორგანო „დოიჩე ცაიტუნგ“ ძლიერ კმაყოფილია ყოფილი კრონპრინცის დაბრუნებით გერმანიაში და აღნიშნავს, რომ ამ დაბრუნებას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან, კრონპრინცი პარლამენტარიზმის მომხრეა. გაზეთი მიუთითებს, რომ კრონპრინცი არ იზიარებს ტევტონური პარტიის ტაქტიკას.

მთავრობის „ზომები“

ვინ დაუჯერებს მას?

ბერლინი. 14 ნოემბერი. გენერალმა ლიუდენდორფმა განუცხადა მიუნხენის პრესის წარმომადგენლებს, რომ მან დასდო პატიოსანი სიტყვა, თავის გამართლებამდე არ მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ გამოსვლებში, რომელიც მიმართული იქნება არსებულ წესწყობილების ჩამოგდებისაკენ.

მუშებს ხვრეტავენ ფაშისტებს კი „ამართლებენ“.

ბერლინი. 14 ნოემბერი. მიუნხენიდან იუწყებიან, რომ ბავარიის მთავრობამ მიანდო ლეიპციგის უზენაეს სასამართლოს ბავარიის აჯანყების მონაწილეთა, ჰიტლერების მიმდევრების წინააღმდეგ პროცესის წარმოება.

თვითეულ მომუშავეზე—თითო უმუშევარი.

ბერლინი. 14 ნოემბერი. ოფიციალურ ცნობების თანახმად, რურის ოლქში უმუშევართა რიცხვი აღწევს მომუშავეთა 50 პროც. ს. დანარჩენ გერმანიაში პროფესიონალურ კავშირების ცნობით, ითვლება [illegible] პროც. უმუშევარი, ზოგიერთ ადგილას კი [illegible] პროცენტი.

ახალი სავალიუტო კომისარი.

ბერლინი. 14 ნოემბ. საიმპერიო მთავრობამ დანიშნა ახალი სავალიუტო კომისარი, რომელიც იღებს ზომებს ახალ ვალიუტაზე უმტკივნეულოთ გადასასვლელად, და სცდილობს თუნდაც მცირეოდნად მოაწესრიგოს ვალიუტის კურსი და საქონლის ფასები.

ტრამვაის ტარიფის მომატება:

ბერლინი. 14 ნოემბ. ბერლინის საქალაქო ტრამვაის ტარიფი 50 პროც. გადიდებული. ერთ სადგურამდე მგზავრობა ღირს 30 მილიარდი მარკა.

ორჯერ ნაკლები სამუშაო ხელფასი და ერთნახევარჯერ მეტი მუშაობა.

ბერლინი. 12 ნოემ. შრომის მინისტრის ბრაუნის წინადადებით,

წერილები ბერლინიდან

არეულობა და გაფიცვები.

სეპარატისტულმა მოძრაობამ რეინის ოლქში, როგორც სჩანს, სამარცხვინო კრახი განიცადა. აახენში მოქალაქეთა დიდმა უმრავლესობამ ისეთი მტრული დამოკიდებულება გამოიჩინა 2000 კაცისაგან შემდგარი ბანდის მიმართ, რომლებმაც ქალაქის თვითმმართველობაზე მწვანე-თეთრ-წითელი დროშა აღმართეს, რომ ბელგიელმა კომენდანტმა ვერ გაბედა მათთვის მფარველობის გაწევა. რეინლანდის რესპუბლიკამ იარსება მხოლოდ რამდენიმე საათი.

ჰამბურგში 23 ოქტომბერს ქუჩებში ბრძოლა დაიწყო. ქუჩები მორწყულ იქნა ღარიბ ლატაკების სისხლით. პურის მაგიერ—ტყვია. ხვალ, შეიძლება,—დახვრეტა. დაიწყო არეულობა. აჯანყებულების ზარალი ჯერ-ჯერობით: მოკლული—4, დაჭრილი—108; პოლიციის: მოკლული—7, დაჭრილი—30.

ჰამბურგის მართვა-გამგეობა ბურჟუაზიული და სოციალისტური პარტიების კოალიციის ხელშია.

სოციალ-დემოკრატები მოუწოდებენ მუშებს არ აყვენ კომუნისტების ლოზუნგებს საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა საყოველთაო გაფიცვას „კომუნისტურ აჯანყებას“ უწოდებს.

ეს სიცრუეა. ჩვენი პარტია უარყოფს ყოველგვარ ნაწილობრივ, განცალკევებულ, დაქსაქსულ გამოსვლებს, რომლებიც უადვილებენ ბურჟუაზიას მათ ლიკვიდაციას, ხელს უშლიან რევოლიუციონურ მზადებას და ასუსტებენ მუშათა რიგებს.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ჰამბურგის კომუნისტები თავგამოდებით იბრძოდენ იმ ბარიკადებზე, რომლებიც აღმართეს დამშეულებმა, უმუშევრებმა და გაფიცულებმა, რომელთაც აევსოთ მოთმინების ფიალა.

ჰამბურგის აჯანყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გერმანიის პროლეტარიატი კარგავს მოთმინებას. 6 მილიონამდე კაცი საშინელ მდგომარეობაშია, მათ არ სურთ სიმშილისაგან სიკვდილი. ჩვენ ვიცით, თუ როგორ ძნელი არის მუშათა ბელადებისათვის მათი შეკავება, რომ ისინი არ ჩაებან ნაადრევ ბრძოლაში. გერმანიის რევოლიუციის აქტიურ არმიას სურს დაიწყოს ბრძოლა.

ბრემენის ნავთსადგურში (23 ოქტ.) გაფიცვაა. მუშათა რაზმები იკავებენ სხვა და სხვა ადმინისტრატიულ შენობებს.

შტეტინში არეულობაა სიმშილობის ნიადაგზე. სოფლის მეურნეები ამ ქალაქის მიდამოებში უარს ამბობენ ქაღალდის მარკების მიღებაზე. კარტოფილის ფასს ისინი მოითხოვენ ოქროს კურსით.

ერფურტში—აჯანყებაა. პოლიციამ იარაღს მიმართა. მოკლულია ერთი.

ბრუნსვიკში და მიუნხენში ხალხი ცდილობს სავაჭროების დარბევას. ამ დღეს მიუნხენში პური არ იშოვებოდა.

მხოლოდ ერთ დღეს, 24 ოქტომბერს, მოხდა არეულობა ბრუნსვიკში, ფრანკფურტში მაინზე, კიოლნში კილში, ესსენში, გელზენკირხენში, კობლენცში. ამ დღეს ჰამბურგის ქუჩებში გრძელდებოდა ბრძოლა.

რურის მრეწველები (სტინესი, კლოკნერი, ფიოგლერი) საფრანგეთ-ბელგიის კომისიასთან მოლაპარაკების დროს უარს აცხადებენ ნახშირზე ბეგარის გადახდაზე. „ეს მათ ძალებს აღემატება“, ისინი შრომის ხელფასის მიცემასაც კი ვერ ახერხებენ. საფრანგეთ-ბელგიის კომისიო ვერ შეუთანხმდა მრეწველებს. კონფლიქტი მზად არის. ვინაიდან საფრანგეთ-ბელგიის კომისია დათმობაზე არ მიდის, მუშაობა ქარხნებში და მაღაროებში არ შეიძლება განახლებული იქნეს. გერმანელი მრეწველები და საფრანგეთ-ბელგიის იმპერიალისტების კომისია ერთმანეთს აკისრებენ პასუხისმგებლობას „შესაძლებელ გართულების გამო“.

რა საშინელი ფარისევლობაა! ეს კონფლიქტი მოკავშირეთა და გერმანელ კაპიტალისტებს შორის ქუჩაში ჰყრის ულუკმა-პუროდ ნახევარ მილიონ მუშას.

ფულის ტრიალი, ფულის „რეფორმა“

დოლარის ფასი ყოველდღე ორკეცდება, ამისდამიხედვით იზრდება ფასებიც.

მუშების მდგომარეობა საშინელია, ერთი კვირის შრომის ჯილდოთ მიღებული მილიარდები მის ოჯახს ორ დღეს ძლივს ჰყოფნის.

„ამას ბოლო უნდა მოეღოს,“—გაისმის ყველგან.

პროფკავშირების სრულიად გერმანიის გაერთიანება, პროფკავშირების შემთანხმებელ ბელადების შტაბი ამოძრავდა. მან მოსთხოვა დიდი კოალიციის მთავრობას, რომელშიც რამდენიმე თვით წინათ სოციალ-დემოკრატები შევიდნენ იმ პირობით, რომ შრომის ხელფასი განმტკიცებული იქნება და, დაუყოვნებლივ მისცენ მუშა-მოსამსახურეებს რეალური შრომის ხელფასი.

შტრეზემანმა დაუყოვნებლივ „დააკმაყოფილა“ ეს მოთხოვნილება.

მთავრობის ოფიციალური ცნობის თანახმად ამავე კვირიდან ხმარებაში შემოღებული იქნება ოქროს სესხის პატარა კუპიურები ოქროს ანგარიშით; ამას გარდა შემოღებული იქნება ე. წ. „რენტენ-მარკა“.

როგორი იქნება ოქროს სესხის რეალური ღირებულება?

ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხია ის ფაქტი, რომ სანამ ეს ყალბი გერმანული დოლარი ფართე გავრცელებას ჰპოვებდა, მან უკვე დაკარგა ყოველგვარი ღირებულება. ის 24 ოქტომბერს ღირდა 63 მილიარდი, ნამდვილი დოლარი კი 95 მილიარდი! ოქროს სესხმა დაკარგა თავისი ნორმალური ღირებულების 30 პროც.

სესხმა არ გაამართლა იმედები. გერმანიის მთავრობამ მოინდომა მტკიცე ვალიუტის შექმნა ფერად ქაღალდებზე შემდეგი წარწერის გაკეთებით: „ეს ნამდვილი ფულია, მისი ღირებულება ოქროს უდრისო“.

მაგრამ ახალი „ნამდვილი“ ტალღის ფულების ზღვა წინათ გამოშვებულ „უბრალო“ მარკების ზღვას შეუერთდა და მას გაუთანასწორდა ღირებულებაში.

მანაც ყოველგვარი ღირებულება დაჰკარგა.

ოქროს სესხს გარდა არსებობს აგრეთვე მსხვილი ფირმების მიერ გამოშვებული ბონები, რომლებიც მსხვილი მრეწველებისათვის შემოსავლის ახალ წყაროთ გადაიქცენ, რადგან საშვალებას აძლევენ მათ თავისთვის სასარგებლო ფინანსიურ ოპერაციები აწარმოონ.

ამ ბონებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ გერმანიის ფინანსების და მით უფრო მუშათა შრომის ხელფასის განმტკიცებისათვის.

რჩება „რენტენ მარკა“, რომლის გამოშვების იდეა წარმოიშვა სოციალ-დემოკრატ ჰილფერდინგის და მონარქისტ-მემამულის ჰელფერიხის პროექტებიდან.

„რენტენ მარკას“ უშვებს ახალი ბანკი, რომელსაც სათავეში უდგება ადმინისტრატიული საბჭო შემდგარი ფინანსების, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებისაგან, ე. ი. იმ კლასების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ყვლეფენ გერმანიას და რეგულიარულად კრეჭენ მას. სახელმწიფო უშვებს ახალ ქაღალდის ფულებს („რენტენ მარკა“) ამ კლასების ქონების გირაოს ქვეშ. გირაო, იპოთეკა, ე. ი. ხელშეკრულება—უბრალო ქაღალდი, ქონება კი ისევ მრეწველ მემამულეთა ოლიგარხიის ხელში რჩება. 1924 წლის აპრილიდან მესაკუთრენი მოვალენი არიან შეიტანონ ბანკში 6 პროცენტი იმ ქონებაზე, რომელიც იპოტეკაში არ არის შეტანილი; ეს ექვსი პროცენტი შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მათ ბანკის შემოსავლიდან. ეს მეტად რთული კომბინაცია არის. ამის შედეგი ის იქნება, რომ მქონებელთა კლასის ოლიგარხია: 1. ხელში იგდებს კანტროლს საიმპერიო ფინანსებზე, 2. უშვებს ახალ ქაღალდის ფულებს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, უზრუნველყოფილია მხოლოდ მისი პატიოსანი სიტყვით; 3. არავითარ რეალურ რაიმეს არ აძლევს სახელმწიფოს 1924 წლის აპრილამდე.

ფინანსების განმტკიცება მოითხოვს ორ პირობას: მათ უზრუნველყოფას სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფ რეალური ღირებულებებით და ნდობას მცხოვრებთა მხრივ. საიმპერიო კასა დაცარიელებულია. შეძლებული კლასები არაფერს არც აძლევენ სახელმწიფოს და არ სურთ მისცენ. ისინი არ ენდობიან მას. მათ ეშინიათ პროლეტარიატის, რომელიც დღეს-ხვალ სახელმწიფო ძალაუფლების ბატონ-პატრონი შეიქნება. საშუალო და ღარიბ კლასებს უკვე არავითარი ნდობა არა აქვთ მდიდართა სიტყვებისადმი.

გერმანიის მთავრობას არა აქვს ფული, მას არა აქვს ნდობა, მას არა ჰყავს რეალური ძალა.

გერმანიის მთავრობა ცდილობს თავი დააღწიოს ფინანსიურ კრახს საზოგადოებრივ ნდობაზე სპეკულიაციით.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 26 ოქტომბერი.

განზრახულია სამუშაო ხელფასი თვით უმაღლესი კატეგორიის მუშებისათვისაც დაწიედეს იმამდე არსებულ მინიმალურ განაკვეთის 80 პროცენტის რაოდენობით, რაც უდრის მშვიდობიანობის დროის სამუშაო ხელფასის მესამედს; ამავე დროს განზრახულია სამუშაო დღის გადიდება 10 დან 12 საათამდე.

შტოგერვალდში ქრისტიანულმა პროფკავშირებმა მოიწონეს ეს წინადადება.

ნაციონალისტების ზრახვები.

ბერლინი. 12 ნოემბერი. მუშა-მოსამსახურეთა ყვითელი კავშირების კრებაზე, მიუნხენიდან დაბრუნებულმა რეიხსტაგის დეპუტატმა ნაციონალისტმა გეისლერმა განაცხადა, რომ სექტი, რომლის ხელში გადავიდა მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება, მიზნად ისახავს ნაციონალური ძალების გაერთიანებას და ბავარიის და პრუსიის მორიგებას. „სექტმა უნდა იცოდეს, განაცხადა გეისლერმა, რომ მისი დრო დადგა. შტრეზემანმა ადგილი უნდა დაუთმოს ნაციონალურ დიქტატორს".

მენშევიკმა ებერტმა უღალატა თავის ამომრჩევლებს.

ბერლინი. 12 ნოემბერი. ტევტონური სახალხო პარტიის ორგანო „დეიჩე ცეიტუნგ"-ი ესალმება სექტის სახით სამხედრო დიქტატურას და აღნიშნავს, რომ ებერტმა მისი ამომრჩევლების მიერ მინდობილი ხელისუფლება გადასცა სექტს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ იტყვის უარს მისთვის გადაცემულ ხელისუფლებაზე.

ბურჟუაზია საბოტაჟს უცხადებს რეიხსტაგის მოწვევას.

ბერლინი. 12 ნოემბ. ბურჟუაზიული პარტიების საპარლამენტო ფრაქციები ეწინააღმდეგებიან სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებას რეიხსტაგის მოწვევის შესახებ.

სტინესის „სურვილი"

ნავთს უკეთესი სუნი უდის „მდიდარ ნახშირს".

ნიუ-იორკი. 12 ნოემბერი. ამერიკაში სტინესის შვილის ჩასვლის გამო „ჩიკაგო ტრიბუნი" იუწყება, რომ სტინესს განზრახული აქვს გაუწიოს სერიოზული კონკურენცია „სტანდარტ-ოილის" კომპანიას. გაზეთი აღნიშნავს, რომ სტინესი მზადაა დაჰკარგოს თავისი ფოლადის და ნახშირის წარმოებები გერმანიასა, ავსტრიასა, ჩეხო-სლოვაკიასა და დანიაში, ოღონდ კი ხელში ჩაიგდოს ნავთის სამრეწველოების ექსპლოატაცია არგენტინასა, ტეხასა, ჩინეთსა, მესოპოტამიასა და კავკასიაში. სტინესს, გაზეთების ცნობით, განზრახული აქვს დაარსოს ნიუიორკში საზოგადოება, რომელსაც ძირითადი თანხა ექნება 20 მილიონი დოლარი.

ექსპერტთა კონფერენციის გარშემო

ამერიკა კვლავ აცხადებს, რომ „არ ჩაერევა ევროპის საქმეებში".

ლონდონი. 12 ნოემბ. „ნიუ-იორკ ჰერალდის" კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის მიერ ამერიკის წინადადების მიღებაზე უარის თქმის გამო საკონტრიბუციო საკითხის განსახილველად ექსპერტთა კომისიის მოწვევის შესახებ, ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას ისევ თავისი ძველი პოზიცია და არ ჩაერიოს ევროპის საქმეებში.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ს. ს. რ. კავშირი.

გვინდა მშვიდობიანობა, მაგრამ მუდამ მზად ვართ დავიცვათ მუშათა ინტერესები.

მოსკოვი. 14 ნოემბ. გუშინ ზამოსკვორეჩიეს რაიონის თეატრში გაიხსნა ამ რაიონის მუშათა და გლეხთა ფართო უპარტიო კონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობს 700-დე წარმომადგენელი ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან და წითელ არმიელთა ნაწილებიდან.

კონფერენცია დაიწყო ბუხარინის მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენების გამო გამართულ კამათში დელეგატებს ემჩნეოდათ იშვიათი ერთსულოვნება გერმანიის ამბების მიმართ. დელეგატებმა პროლეტარიატის სახელით განაცხადეს, რომ ყოველივე ზომებს მიიღებენ ქვეყნის მრეწველობის აღსაორძინებლად.

მიღებულ რეზოლიუციაში დელეგატები ესალმებიან საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან პოლიტიკას და აღნიშნავენ, რომ მუდამ მზად არიან დაიცვან მუშათა კლასის ინტერესები.

წითელ არმიის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ბუდიონი, რომელმაც უსურვა დამსწრეებს იმ დრომდე მიღწევა, როდესაც საერთაშორისო ხასიათის საკითხები გადაიჭრება არა იარაღით, არამედ მოლაპარაკებით ცალკე სახელმწიფოების მშრომელთა წარმომადგენლებს შორის.

მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის ყრილობამ, რომელიც ამ დღეებში გათავდა, დაადგინა შეუერთდეს კომპარტიას. ერთხმათ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომლის უკანასკნელი ოთხი მუხლი (უმთავრესათ მისი პრაქტიკული ნაწილი) შეიცავს შემდეგს:

„2 წლის და 9 თვის პოლიტიკურ-ეკონომიურმა მუშაობამ კომპარტიასთან საქ. მემარცხენე ს.-ფ. პარტიას შეუქმნა გაერთიანების მძლავრი ტენდენცია და ტრადიცია, რაიცა ისახებოდა ყველა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში კომპარტიასთან სრულის იგივეობით მუშაობაში და ბუნებრივად იწვევდა მთლიად გაერთიანების საკითხის დასმას. ეს სტიქიური მიმართულება პარტიაში, რომლის შედეგი იყო პარტიის ორგანოებში მთავარ კომიტეტის ინიციატივის გარეშე წევრების მიერ კომპარტიასთან გაერთიანების საკითხის დასმა, სავსებით ეგუება თანამედროვე მომენტს და ამიტომ ყრილობა წინადადებას აძლევს თავის ორგანოებს მთელი თავისი ქონებით, შემადგენლობით გადავიდნენ კომუნისტურ პარტიაში.

ხსენებული დადგენილების ცხოვრებაში გატარება, ქონების გადაცემის პირობების გამომუშავება ევალება პარტიის მთავარ კომიტეტს.

აღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება უნდა მოხდეს რეზოლიუციის გამოცხადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

პარტიის გაერთიანების მოდუსი შემუშავებულია ყრილობის ცალკე დადგენილებაში და გადაეცეს მთავარ კომიტეტს ხელმძღვანელად და აღსასრულებლად".

დახურვის წინ, ყრილობას გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა მისმა თავმჯდომარემ, ამხ. ი. გედევანიშვილმა. საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ ორატორი შეეხო ყრილობის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას. გაზეთი „ტრიბუნა" (№ 620) ასე გადმოგვცემს სიტყვის ამ ნაწილს:

„პარტიის მიერ აღებული გეზი უნდა ჩაითვალოს ყველა ჩვენთვის დამაკმაყოფილებლად. ყოველმა ამხანაგმა ყოველთვის მაღლა უნდა დააყენოს მიზნები და ნაკლები ანგარიში უნდა გაუწიოს პარტიულ თავმოყვარეობასა და ტრადიციებს. ჩვენმა პარტიამ უყოყმანოდ გადასჭრა თავისი არსებობის საკითხი და ამით მან დაამტკიცა თავისი დიდი რევოლიუციონური შეგნება. რევოლიუციას უკვე ერთი ხაზი აქვს აღებული და მისი გადახვევა ყოვლად შეუძლებელია. არ არის სხვა ძალა, ამბობს ამხანაგი, გარდა კომუნისტური ინტერნაციონალის, რომელსაც შეეძლოს ოდნავ მაინც გამოასწოროს მსოფლიოს დღევანდელი მდგომარეობა. ორატორი ეხება გერმანეთის ს.-დემოკრ. მუშ. პარტიის შეუფერებელს გამოსვლებს, მათ მუხანათურ და დასაგმობ მოქმედებებს თანამედროვე ვითარებაში. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გერმანიის თანამედროვე მდგომარეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, გარდა კომუნისტური პარტიისა. ისტორიის მიმართულება დღეს ყველასათვის აშკარაა, მისი გეზი იხრება მსოფლიო რევოლიუციისაკენ. დღეს არსებობს ორი ძალა: ერთი, რომელიც ამ ისტორიის ტენდენციას ებრძვის და მეორე კი მას იცავს. საშუალო ხაზი ამ ორ ძალთა შორის არ არსებობს. დღეს კი ყველა აშკარად ხედავს, რომ ჩვენმა პარტიამ გადადგა გარკვეული ნაბიჯი, დაგმო ყოველგვარი პარტიული თავმოყვარეობა, უარყო პარტიული ეგოიზმი და დადგა სწორ გზაზე, საერთაშორისო რევოლიუციის რიგებში. ეს არის ის პარტია, რომელიც არ შეუშინდა თვითმკვლელობას საერთაშორისო მიზნების გამარჯვება და გამტკიცებისათვის. ჩვენი პარტიისათვის არავითარი სისინი, არავითარი მოღალატური ცდები ჩვენი მტრების მიერ ჩადენილი საშიში არ არის.—ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მას, თუ რას იტყვიან ჩვენზედ გზა-აბნეული პირები, პოლიტიკური ჯგუფები. დღევანდელი აქტი უდიდესი დამსახურება არის ქართველი ხალხის წინაშე ჩვენი პარტიის მიერ. ჩვენ აშკარათ დაუმტკიცეთ მათ ჩვენი დღევანდელი მოქმედებით, რომელიც გამოიხატება არა ღალატში, არამედ ქართველი ხალხისა და სოციალიზმის სამსახურში, მშრომელი ხალხის კეთილდღეობაში. ჩვენ არ ვღალატობთ სოციალიზმს, არამედ უფრო ვამაგრებთ, უფრო ვამტკიცებთ იმ რიგებს, რომლებიც სოციალიზმისათვის თავდადებულად იბრძვიან, ჩვენ თუ გვინდა სოციალიზმის დიდი კითხვა დადებითად გადავწყვიტოთ, მაშინ ყურადღება უნდა მივაქციოთ საერთაშორისო თანამედროვე მდგომარეობას და მის შედეგებს საშუალო ძალა შეიძლება ფორმალურად არსებობდეს, მაგრამ ამ ძალას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს კაცობრიობის ისტორიისათვის. მემარჯვენე სოციალისტების ძალაში არავითარი გადამწყვეტი სვლა არ არის, ეს ძალა სოციალიზმის განხორციელების საქმეს აფერხებს [illegible] ყოვლად [illegible] პირდაპირ მოღალატურ როლს თამაშობს მუშათა კლასის და რევოლიუციის მიმართ.

კომუნისტური პარტიის გამარჯვება—ეს არის მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება და სოციალიზმის რეალურად განაღდება, ეს არის ყოველგვარ ჩაგვრის მოსპობა, მაშასადამე მოსპობა ეროვნული ჩაგვრისა, ეროვნული საკითხის სათანადო დონეზე დაყენება და მისი მოწესრიგება.

დღეს ვერავინ იტყვის, რომ კომუნისტური პარტია არ აქცევდეს შესაფერის ყურადღებას ეროვნულ საკითხს და არ ჰქონდეს გამომუშავებული მეტად სასარგებლო და მოსაწონი ეროვნული პროგრამა. მთელი პოლიტიკა კომპარტიისა დღეს არსებითად მიმართული არის კაცობრიობის უსასტიკესი მტერის—იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად, ამით კომპარტია ნიადაგს ამზადებს ყველა დაჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლად და ერთა შორის ძმური ურთიერთობის გასამტკიცებლად **კომუნისტური ინტერნაციონალი არის ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია კეთილსინდისიერად მოაგვაროს ეროვნული საკითხი და მოსპოს ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრა".**

დასასრულ ამხ. ი. გედევანიშვილი დამსწრეთ მოუწოდებს მეტი ენერგიითა და სიმტკიცით ემსახურონ სოციალიზმის დიად შენებას და გაამაგრონ ის რევოლიუციონური რიგები, საითკენაც მთელმა ყრილობამ ერთხმად მიმართა თავისი გეზი.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშის კვრით აჯილდოვებს მას.

რადიო-დეპეშები

Коллектив
Жел. Федерации
Грузинова

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესი

ლოზანა. 14 ნოემბ. ვოროვსკის მკვლელის პროცესზე, შაბათს, მოწმეების დაკითხვა დამთავრდა.

ნაციონალურ ლიგის წევრთა ჩვენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელნი მართლა ემუქრებოდენ ვოროვსკის შვეიცარიიდან იძულებითი განდევნით.

წაკითხულ იქნა ბარბიუსის წერილი, რომელიც პროცესს ახასიათებს, როგორც „რევოლიუციონურ სიმართლის ბრძოლას რეაქციონერთა სიყალბის წინააღმდეგ".

წაკითხულ იქნა აგრეთვე, იტალიელ მინისტრის დიჩეზაროს წერილი. ვოროვსკის ახასიათებს, როგორც იშვიათად დინჯ და ყოველგვარ პატივისცემის ღირს ადამიანს, და აგრეთვე, პიტირიმ სოროკინის წერილები. სოროკინი აცხადებს, რომ ის ვერ გაჰკიცხავს კონრადის საქციელს.

ორშაბათის სხდომაზე ვოროვსკის ქვრივის რწმუნებულმა ველტიმ აღნიშნა, რომ მისი კლიენტი უკავშირებს თავის ინტერესებს საბჭოთა რუსეთის ინტერესებს. მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ საბრალმდებლო ოქმი არ არის სწორი და დაამტკიცა, რომ კონრადის განზრახული ქონდა, აგრეთვე, არენსის და დივილკოვსკის მოკვლა. ველტიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონრადი, რომელიც მონარქისტი არის, სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, პატრიოტულ გრძნობებს უცხადებს შვეიცარიის მთავრობას. ველტის სიტყვით, კადეტების „რულ"-იც კი კარგათ ახსენებდა ვოროვსკის, რაც შეეხება საბჭოთა ტერორს, იგი გამოწვეული იყო ანტანტის ბურჟუაზიულ აგენტების მიერ.

პოლონეთის ამბები

პანების ტერორი.

ვარშავა. 14 ოქტომბერი. კრაკოვში დაიწყო აჯანყების მონაწილეთა დაპატიმრება. დაპატიმრებულია ულანთა ნაწილის კომანდირი, რომელიც აჯანყების დროს მუშებს მიემხრო.

ზიზღი მოღალატეებს.

ვარშავა. 13 ნოემბერი. ჟულავსკის მოხსენებამ საყოველთაო გაფიცვის მსვლელობის შესახებ, რომელიც წაკითხული იყო პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე, მკაცრი კრიტიკა გამოიწვია ოპოზიციის მხრით, რომელმაც აღნიშნა, რომ ცენტრ. კომიტეტმა თვითნებურათ და სოციალისტურ პარტიებთან მოლაპარაკების გარეშე შესწყვიტა გაფიცვა. სასტიკი კრიტიკით გამოვიდა კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც ნათელჰყო პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მუხანათობა გაფიცვის მიმართ.

რა ხდება იტალიაში

რას ამბობს მუსოლინი და რას ამბობენ მუშები.

რომი. 12 ნოემბ. მუსოლინის განცხადების გამო თითქოს ის არ აწარმოებს ანტი-მუშურ პოლიტიკას, „ავანტი" სწერს: „ამის შესახებ უნდა ჰკითხონ მუშებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი მდგომარეობა საგრძნობათ გაუარესდა. მუშები, **განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მუშაობენ 10 საათს. შრომის ხელფას კი იღებენ ნახევარი რაოდენობით. კრემონის მიდამოებში გლეხები აიძულეს მონაწილეობა მიეღოთ ფაშისტურ დღესასწაულში. ფაშისტები, რომლებიც ჩამოვიდენ დღესასწაულზე რომში, სცემდენ მუშებს, გაზეთის გამყიდველებს ართმევდენ მუშათა გაზეთებს, სწვავდენ სოციალისტურ გაზეთებს. ბოლონიაში დაარბიეს გაზეთ „პოპოლო"-ს რედაქცია. კაზერტანოში ფაშისტებმა სცემეს ყველა სოციალისტებს.**

შეკვეცილი ამნისტია.

რომი. 12 ნოემბ. მილანში დეკრეტი ამნისტიის შესახებ არ იქნება გავრცელებული. დაპატიმრებულები არ იქნებიან განთავისუფლებულნი.

ითხოვენ 18.000 რკინისგზელს.

რომი. 12 ნოემბ. „ვოჩე რეპუბლიკანა"-ს ცნობით **შედგენილია 18.000 რკინისგზელის სია, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან.**

ამსტერდამის ინტერნაციონალის გარშემო

ჰომპერსი ამსტერდამის შესახებ.

ნიუ-იორკი. 12 ნოემბერი. ჰომპერსი თავისი ოფიციალურ განცხადებაში ამერიკის შრომის ფედერაციის ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის შესაძლებლობის შესახებ აღნიშნავს, რომ ფიმენის გადადგომა ნიშნავს ამსტერდამში საბჭოთა რუსეთის გავლენის შესუსტებას. მაგრამ ამერიკის შრომის ფედერაცია შეუერთდება ამსტერდამს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი შეცვლის თავის ტაქტიკას. ჰომპერსის სიტყვით, ამერიკის შრომის ფედერაციამ იმიტომ განაცხადა უარი ამსტერდამთან შეერთებაზე, რომ **მის პროგრამაში შედის ომის წინააღმდეგ საპროტესტო საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება** და აგრეთვე ინტერნაც. ნაციონალურ სექციების ავტონომიის შეზღუდვა. ამერიკის შრომის ფედერაცია ნაციონალურ ავტონომიას მოითხოვს, რადგან მას არ სურს ხელფეხი შეიბორკოს სხვა სექციების დადგენილებებით. ამსტერდამში შესვლისას ამერიკის შრომის ფედერაციამ უნდა მიიღოს შესაფერი გავლენა ინტერნაციონალზე, რადგან ფედერაცია უდიდესი საწევრო გადასახადის შემტანი იქნება. „თუ ამსტერდამი მიიღებს ვაშინგტონის პროგრამას, ჩვენ მას მივცემთ ფულს. მაგრამ რადიკალურ პროგრამისათვის ჩვენ არც ერთ დოლარს არ გავიღებთ".

ინგლისის მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია

ლონდონი. 12 ნოემბერი. 10 ნოემბერს გაიხსნა მუშათა ორგანიზაციების დელეგატთა კონფერენცია, რომელიც კომპარტიის თაოსნობით იყო მოწვეული, გერმანიის მდგომარეობის განსახილველად. **კონფერენციას დაესწრო 305 დელეგატი კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებისა,** მუშათა პარტიებისა, ტრედიუნიონებისა, უმუშევართა, კოოპერატივებისა და ქალთა ორგანიზაციებისა. ერთხმად მიიღეს კომუნისტ მაკ მანუსის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია რომ გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა სტინესისა და პუანკარეს წინააღმდეგ უნდა გახდეს ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის პროლეტარიატის საერთო ბრძოლად. რეზოლიუცია მიესალმება გერმანიის პროლეტარიატს და ინგლისის პროლეტარიატის სახელით აღუთქვამს მხარის მიცემას. მაკ მანუსმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დღევანდელი **ბრძოლა გერმანიის პროლეტარიატისა გაგრძელებაა რუსეთის პროლეტარიატის მიერ 1917 წელს დაწყებული ბრძოლისა.** აღნიშნა რა უაზრობა და უშედეგობა საბჭოთა რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობის ცდისა, მაკ მანუსომ ხაზი გაუსვა იმ გარემოება, რომ **კაპიტალიზმი განიცდის უკანასკნელ რღვევას და მისი ადგილი უნდა დაიპყროს პროლეტარულმა ხელისუფლებამ.** რეზოლიუციას მხარი დაუჭირა ბეჭდულობის დამმზადებელთა კავშირის თავმჯდომარემ ტომ კინომ, რომელმაც მადლობა გადაუხადა კომპარტიას კონფერენციის მოწვევის თაოსნობისათვის. რკინისგზელთა, მალიარებისა, შავი მუშებისა და ხეზე მომუშავეთა დელეგატებმა ხმა მისცეს რეზოლიუციას, რასაც მთელი სხდომის საერთო ტაში მოჰყვა.

რუსეთი და ევროპა

შვეცია

ს. ს. რ. კავშირთან დამოკიდებულების გაუმჯობესების იმედი.

სტოკჰოლმი. 12 ნოემბერი. გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ზომიერ-ლიბერალურ მიმართულების წარმომადგენლის, — ვიურტემბერგის,—დანიშვნის გამო, კომუნისტური გაზეთი „პოლიტიკენ"-ი იმედს გამოსთქვამს, რომ რუსეთ-შვეციის მოლაპარაკების პერსპექტივები გაუმჯობესდება.

გაზეთი „სვენსკა მორგენ ბლადეტ"-ის აზრით, ეს დანიშვნა იმის დამამტკიცებელია, რომ შვეციას ძალიან სურს კეთილი დამოკიდებულების ჩამოგდება თავისი მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ფინეთთან და, აგრეთვე, ს. ს. რ. კავშირთანაც.

საფრანგეთი.

ს. ს. რ. კავშირი სოციალიზმის გზით ვითარდება.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. გუშინ უმაღლესმა კოოპერატიულ ინსტიტუტმა მოსკოვში ზეიმი გადაიხადა უცხოეთის კოოპერატორთა საპატივცემლოთ. საფრანგეთის წარმომადგენელმა თავისი სიტყვაში სთქვა: „ჩვენი სოციალისტები ამბობენ, რომ ს. ს. რ. კავშირი— უბედური ქვეყანაა.

ისინი ამტკიცებენ, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას შემოღების მომენტიდან ს. ს. რესპუბლიკებში სოციალიზმის კვალიც არ დარჩა. საფრანგეთიდან დაბრუნებისას მე იძულებული გავხდები გავაბათილო ეს აზრი. მე ვფიქრობ, რომ რუსეთი სოციალიზმის გზით ვითარდება და იგი ბედნიერიც არის".

გუშინ უცხოეთის კოოპერატორები საზღვარ გარეთ გაემგზავრენ.

შორეული აღმოსავლეთი

კორეიელთა მოძრაობა.

პეკინი. 13 ნოემბერი. კორეიის დედა-ქალაქ სეულში იაპონიის პოლიციამ საიდუმლო სხდომაზე დაატუსაღა კორეიელთა მოძრაობის 40 გამოჩენილი ხელმძღვანელი.

იაპონიის ფაშისტების მთავარ ბინაში.

ტოკიო. 13 ნოემბერი. იაპონიის პოლიციამ გაჩხრიკა იაპონიის ფაშისტების შტაბ ბინა, სადაც აღმოჩენილ იქნა პროკლამაციები, რომელშიაც ფაშისტები მოითხოვდენ გოტოს მოკვლას.

ჩინეთის მთავრობა ფინანსიურ კატასტროფის წინ.

პეკინი. 13 ნოემბერი. **ჩინეთის მთავრობის ფინანსიური მდგომარეობა ისევ კატასტროფიულ ხასიათს იღებს. მასწავლებლებმა, რომელთაც 9 თვის განმავლობაში არ მიუღიათ ჯამაგირი, პროფკავშირებში აღძრეს საკითხი საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.** სკოლები და უნივერსიტეტები, ალბათ, დახურული იქნება. მთავრობის დაბალი მოხელეები დაჟინებით მოითხოვენ მათთვის ჯამაგირის მიცემას, რომელიც მათ დიდიხანია არ მიუღიათ. სასამართლოების მოხელეებმა გამოაცხადეს გაფიცვა, მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება იმით, რომ საფრანგეთმა ჩინეთს წაუყენა მოთხოვნილება, რომელშიაც ის მოითხოვს, რომ ჩინეთმა უზღოს საფრანგეთს ოქროს ვალიუტით ის ზარალი, რომელიც მიაყენა მას 1901 წ. ბოქსერთა აჯანყებამ. ხმების მიხედვით, ჩინეთის მთავრობა დაემორჩილა ამ მოთხოვნილებას.

ოქტომბრის დღესასწაულის გამოძახილი

ბესარაბიის მოქალაქეები და რუმინეთის ჯარისკაცები აღფრთოვანებით შეხვდენ ოქტომბერს

ოდესა. 14 ნოემბერი. ოქტომბრის დემონსტრაციების დროს გრიგორიოპოლში დნესტრის რუმინეთის ნაპირზე ბესარაბიის მოქალაქეები და რუმინეთის ჯარისკაცები აღფრთოვანებით შეხვდენ დემონსტრანტებს.

ინტერნაციონალის შესრულების დროს რუმინეთის ჯარისკაცებმა სამხედრო სალამი მისცეს და დანარჩენმა საზოგადოებამ ქუდები მოიხადა.

სხვადასხვა

დანია

ფაშისტ-სტუდენტების პროვოკაცია.

კოპენჰაგენი. 12 ნოემბერი. პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტური გაზეთების 10 გამყიდველი. ხალხი გამოესარჩლა გამყიდველებს და მათი განთავისუფლება მოინდომა. პოლიციამ ჯავშნიანი ავტომობილები გამოიყვანა. ეს შეტაკება ფაშისტ-სტუდენტების პროვოკაციის შედეგი იყო.

ბულგარეთი

უოფ. მინისტრის დუპარინოვის მოკვლა.

ვენა. 12 ნოემბერი. ბულგარეთის ოფიციალური ცნობით, სტამბულინსკის მთავრობის დროს იუსტიციის მინისტრად ნამყოფი დუპარინოვი, რომელსაც 6 წლით ციხე ჰქონდა მისჯილი, ციხიდან გაპარვის ცდის დროს, მოჰკლეს.

ჩეხეთის პრესის აზრი დუპარინოვის მოკვლის შესახებ.

პრაღა. 12 ნოემბერი. გაზეთები სასტიკად ჰკიცხავენ ბულგარეთის მთავრობას, პრაღაში ბულგარეთის ელჩად ნამყოფ და შემდეგ სტამბულინსკის კაბინეტის იუსტიციის ყოფილი მინისტრის დუპარინოვის მოკვლის გამო და აღნიშნავს ბულგარეთის მთავრობის ოფიციალური ცნობის სიყალბეს.

შეერთებული შტატები.

არც ერთი სოციალისტური გაზეთი.

ნიუ-იორკი. 12 ნოემბერი. უსახსრობისა გამო დაიკეტა სოციალისტური ორგანო „ნიუ-იორკლინდერ"-ი ამ ორგანის დაკეტის შემდეგ, ნიუ-იორკში აღარ დარჩა არა თუ არც ერთი სოციალისტური, არამედ აღარც ლიბერალური გაზეთი ინგლისურ ენაზე.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის მესამე წლის თავზე

(თეზისები)

1) თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, რუსეთში, მსხვილ სამრეწველო ქალაქებში არსდება ახალგაზრდათა დამოუკიდებული ორგანიზაციები, რომელნიც დგანან წმინდა კლასობრივ თვალსაზრისის ნიადაგზე. იმათ ძირშივე ჩაჰკლეს ზოგიერთ ლიბერალების ცდა, რომელთაც სურდათ „კანონიერ" ფარგლებში მოექციათ მოძრაობა და აეცდინათ ის რევოლიუციონურ მუშაობის გზიდან.

2) ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის დამოკიდებულება რუსეთის პროლეტარულ მოძრაობასთან ჰქმნის პირობებს რუსეთის მოძრაობის ფორმების და მეთოდების განვითარებისთვის ამიერ კავკასიაში და კერძოთ საქართველოშიაც. საქართველოში, როგორც რუსეთშიაც, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა ერთიანდება რევოლიუციონურ ორგანიზაციაში. თავისი კლასობრივი ინტერესების შეგნებით, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მოწინავე ელემენტები თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის დასაწყისიდანვე იკრიბებიან საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური ნაწილის—რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრაქციის, ბოლშევიკების გარშემო.

3) თებერვლის რევოლიუციამდე საქართველოში იყო ახალგაზრდა სოციალისტური წრეები (ბ-ნი, თბილისი, ქუთაისი), მაგრამ მათ დიდი კვალი არ დაუტოვებიათ გარდა იმისა, რომ მოგვცეს ზოგიერთი ამხ. შემდეგში კომუნისტები. ნამდვილი ახალგაზრდათა მოძრაობა საქართველოში ჩაისახა მუშათა მოძრაობის ცენტრში—ქალაქ ტფილისში. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ორგანიზაციის განვითარება იწყება 1917 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ახალგაზრდა წევრნი და მრავალი თანამგრძნობნი შეიკრიბენ ნაძალადევში, რომ ჩაეყარათ მტკიცე საფუძველი სრულიად საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის 1-ლი ორგანიზაციისათვის. ამ კრებაზე, რომელიც ოფიციალურათ იწოდებოდა ახალგაზრდა პროლეტართა კრებათ, მიღებულ იქნა წესდება და დადგენილი იქნა ეწოდებიათ ამ ორგანიზაციისათვის ახალგაზრდათა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია — „სპარტაკი".

4) ამის შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ არ მისცა საშუალება ამ ორგანიზაციის ინიციატორებსა და აქტიურ მუშაკებს მიექციათ მთელი თავისი ყურადღება ორგანიზაციის განვითარებაზე, რის გამო 1918 წლის „გაზაფხულამდე" ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციას, როგორც განსაზღვრულ პოლიტიკურ ჯგუფს, თავის თავი არ გამოუჩენია.

მაგრამ რევოლიუციონური პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის პირობები შემდგომ პერიოდში 1918 წლის გაზაფხულიდან მოითხოვდენ ორგანიზაციის მუშაობის გაძლიერებას და აიძულებდენ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრებს მიაქციონ სერიოზული ყურადღება „სპარტაკს". და მართლაც, 1918 წლის გაზაფხულის ბოლოს ორგანიზაცია იწყებს გამოცოცხლებას და უფრო და უფრო მეტი ენერგიულ მონაწილეობის მიღებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირველ ხანებში, როდესაც საჭირო იყო ერთი მხრით რევოლიუციონური ახალგაზრდობის შეჯგუფება და შემოკრება მის, ჯერ კიდევ სავსებით განუმტკიცებელ ორგანიზაციის გარშემო, და მეორე მხრივ—მშრომელთა ფართო მასებისათვის პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობა და მათთვის ნამდვილი აზრის განმარტება,—„სპარტაკი" იკრებს ყველა თავის ძალებს აგიტაცია-პროპაგანდისთვის. მიმართავს დახმარებისათვის ამიერ-კავკასიის მუშათა ბელადებს. ამ დროს „სპარტაკის" საუკეთესო მეგობარი და ხელმძღვანელი იყო მიხა ცხაკაია, ხოლო ენერგიული მომუშავენი და სულის ჩამდგმელნი უდროოთ დაკარგული ორი ამხ. ბ. ძნელაძე, იონიდი და ამხ. ამასი.

5) ამავე დროს პირველათ დამოუკიდებლათ, ხოლო შემდეგ ტფილისის ხელმძღვანელობით პროვინციაში ჩნდებიან პირველი ჯგუფები, ხოლო 18—წლის მიწურულში ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციები „სპარტაკი". პირველი წევრები ამ ორგანიზაციებისა ითვლებიან ე. წ. ახალგაზრდათა მარქსისტთა ორგანიზაციებში, სადაც შემდეგში ისინი ახდენენ განხეთქილებას და აარსებენ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს. ამ პროცესს ადგილი ჰქონდა ქუთაისში, გურიაში, (სამტრედია, ლანჩხუთი ოზურგეთი), სამეგრელოში (აბაშა, სენაკი, მარტვილი) და სხვა ადგილებში. ქუთაისში 18—წლის მიწურულში იწყებს გამოსვლას „ახალგაზრდათა კომუნისტი", რომელიც მოუწოდებს ახალგაზრდა მშრომელთ კომკავშირის რიგებში გაერთიანებისაკენ.

აღმოსავლეთ საქართველოში ახალგაზრდათა მარქსისტთა ორგანიზაციებიდან გამოყოფვას და ჩვენი ორგანიზაციების შექმნას აქვს ადგილი ბორჯომში და ხაშურში. დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ 1919 წლის გამოსვლების დროს ორგანიზაცია გამოცდილ იქნა გამოსვლებში უშუალო მონაწილეობის მიღებით, როდესაც მისი წევრები ასრულებდენ პარტიის საპასუხისმგებლო დავალებას აჯანყების მოწყობაში და თვით გამოსვლების დროსაც (ქუთაისი, აბაშა, სადაც ორი ამხანაგი აწამეს, ლანჩხუთი, ოზურგეთი და სხვა ადგილები).

6. სააგიტაციო მუშაობის შემდეგ „სპარტაკი" გადადის ორგანიზაციულ აღმშენებლობაზე.

იაჩეიკები არსდებიან ტფილისის თითქმის ყველა რაიონებში. 1919 წ. მარტში და აპრილში თავისივე კონფერენციის დადგენილებით, ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი" იცვლის სახელს და იწოდება „ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციათ—სპარტაკი".

7. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სტიქიურმა მოძრაობამ მთელს ამიერ-კავკასიაში გამოიწვია საჭიროება საერთო ხელმძღვანელი ცენტრისა, ამიტომ პროლეტარულ ბაქოში, 1919 წლის სექტემბერში შეიკრიბა პირველათ ამიერ-კავკასიის კონფერენცია მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაციებისა. ამ კონფერენციაზე საქართველომ საპატიო ადგილი დაიჭირა. კონფერენციის მიერ გამოშვებულ დეკლარაციაში ნათლათ და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური ახალგაზრდობის მიზნები და აღნიშნული იყო ამ ახალგაზრდობის მოძრაობის მნიშვნელობა მუშათა კლასის საერთო ბრძოლაში. ყველა ორგანიზაციებს, რომელნიც წარმოდგენილი იყვნენ ამ კონფერენციაზე, ეწოდათ ამის შემდეგ სახელი „ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია რუსეთის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა". ხელმძღვანელი ორგანოს სახით სათავეში ჩადგა კავშირის საოლქო კომიტეტი. საოლქო კომიტეტი მეტათ ენერგიულათ მუშაობდა არა მარტო აზერბეიჯანში (უმთავრესად ბაქოში) და საქართველოში, არამედ თავისი მუშაობა გადაიტანა აგრეთვე სომხეთშიაც. მისი ინტენსიური მუშაობით საქართველოს ყველა მთავარ ცენტრებში არსდება ახალგაზრდათა ორგანიზაციები.

8. ამიერიდან მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის რევოლიუციონურ მოძრაობაში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში.

ამ იატაკ ქვეშ რევოლიუციონურ მუშაობის დროს სწარმოებს აგრეთვე ორგანიზაციული მუშაობა; ამიერ-კავკასიის კონფერენციის შემდეგ ორგანიზაცია „სპარტაკი", ანუ ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია რუსეთის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა, სრულებით შეკავშირდა და განმტკიცდა, შეიქმნა სერიოზულ პოლიტიკურ ძალათ, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა „დემოკრატიული" რესპუბლიკის მმართველებს.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის უშესანიშნავესი გამოსვლა საქართველოში იყო 1920 წლის მაისის პირველს; ამ დღეებში კავშირი იყო მებრძოლთა მოწინავე წრეებში, 2 მაისს კავშირი ჩაება რევოლიუციონურ ბრძოლაში, როდესაც მან საკმაო დიდი მსხვერპლი და სისხლი გაიღო რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

ამ გამოსვლების დამარცხებით დამთავრებამ მოსწყვიტა ორგანიზაციას არა ერთი და ორი საუკეთესო აქტიური მუშაკი. 1920 წლის მაისის 7-ს საბჭოთა რუსეთის და დემოკრატიული საქართველოს შორის დადებულ აქტში: საქართველოს მთავრობა და გაბატონებული მენშევიკების პარტია, სთვლიდენ რა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს და კომუნისტურ პარტიას განადგურებულათ, თანხმდებიან პარტიისა და კავშირის ლეგალიზაციაზე. ამით კავშირს მიეცა საშუალება შეეკრიბა თავისი ძალები, მოეხდინა პერირეგისტრაცია და გაეტარებია კონფერენციები ტფილისში და საქართველოს სხვა ადგილებში. მაგრამ ლეგალური მუშაობის პერიოდი ძლიერ ხანმოკლე იყო და იგი მალე შეიცვალა იატაკ ქვეშ მუშაობით.

1920 წლის აგვისტოს 20-ს მენშევიკური მთავრობის მიერ გარეკილი იქნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის 1-ლი ყრილობა და ამ დღიდან დაიწყო ხელახალი დევნა, დაპატიმრება და გადასახლება. მაგრამ ორგანიზაცია ამის გამო არა თუ არ დაეცა სულით, პირიქით, უფრო მეტი ხალისით და ენერგიით განაგრძო რევოლიუციონური მუშაობა ყრილობისათვის დაგროვდა ბევრი საჭირბოროტო საკითხები, რომელნიც მოითხოვდენ დაუყოვნებლივ გადაჭრას. 1920 წელს 25 ნოემბერს ტფილისში იხსნება ფარული ყრილობა. მენშევიკების დამცველმა განსაკუთრებულმა რაზმმა ვერ აღმოაჩინა ეს ყრილობა. ყრილობამ მოასწრო გადაეწყვიტა ყველა საკითხები, რომელნიც იდგენ დღის წესრიგში.

9) ამის შემდეგ კავშირი მეტი ენერგიით აწარმოებს ბრძოლას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარის მიერ იწვევს რეპრესიებს დატუსაღების და საქართველოს საზღვრებიდან გადასახლების სახით. როდესაც იწყება ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლათ საქართველოში, მაშინ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იღებს ამ ბრძოლაში ენერგიულ მონაწილეობას. წითელი არმიის მოსვლის პირველ დღეებში, როდესაც ადმინისტრაცია გაიქცა და არავინ იყო წესრიგის დამცველი, ზოგ შემთხვევებში-კომკავშირის წევრებმა დაიჭირეს თავისი რევოლიუციონური პოსტი. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობამ, გაერთიანებულმა თავის კომუნისტურ კავშირში, მიიღო შესაძლებლობა შემოქმედებითი მუშაობისა. გასაბჭოების მომენტში გამხეცებულმა მენშევიკებმა კვლავ უმაგალითო რეპრესიები იხმარეს კომკავშირის წევრთა მიმართ, აწამეს და მოკლეს ერთი საუკეთესო ამხ. ამალაძე (ხაშურში).

10) ამრიგად არალეგალური მუშაობის ხანა საქართველოს კომუნისტური კავშირისა საუკეთესო პერიოდი არის საქ. რევოლიუციონური ახალგაზრდობის მოღვაწეობის ისტორიაში, როდესაც საქ. კომკავშირი ათასგვარ რეპრესიების, „ოხრანკის" და საგანგებო რაზმების დევნის პირობებში ამაყად ატარებდა წითელ დროშას ინტერნაციონალურ გაერთიანებისას; საქართველოში უმაგალითო შოვინიზმის და კაციჭამიობის პირობებში, რომლის მიზეზები იყვნენ აქ გაბატონებული ნაციონალისტური პარტიები, მენშევიკების კურთხევით, მხოლოდ კომკავშირმა კომპარტიასთან ერთად შესძლო გადალახვა ნაციონალისტური შუღლისა და თავის რიგებში თავი მოუყარა სხვადასხვა ერთა ახალგაზრდობას. გასაბჭოებამდე კომკავშირში ითვლებოდა 3000—3500 წევრამდე.

11. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად წითელი ახალგაზრდობა იღებს ენერგიულ მონაწილეობას ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში. არალეგალური მუშაობისა და ჭერქვეშა მუშაობის პერიოდი შეიცვალა ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობით. წითელი ახალგაზრდობა მიდის ახალ შემოქმედებითი მუშაობისაკენ იმავე რევოლიუციონური ენტუზიაზმით.

კომკავშირის თავისუფალ პირობებში მუშაობის შემდეგ სამი წელი შესრულდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ის უფრო მეტი, ერთად-ერთი გულის მესაიდუმლე გახდა საქართველოს მშრომელთა ახალგაზრდობისა; კომკავშირმა 1921 წელს გამოიარა ხანა რიცხობრივად გაზრდის, მას თან მოყვა 21 წლის მიწურულში და 1922 წლის დასაწყისში კრიზისი, რომლის დროს (4—5 თვის განმავლობაში საგრძნობლად შესუსტდა მისი აქტივობა და თვით მოქმედება. ამის მიზეზი იყო ერთი მხრით მუშათა ახალგაზრდობის ცუდი ეკონომიური პირობები შტატების შემცირება, ხელფასის სიმცირე და სხვა) მეორე მხრით სისუსტე პოლიტაღმზრდელობითი მუშაობისა და სხვა. მაგრამ ღონისძიებათა მიღებით ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნა და კავშირი ჯერ კიდევ 1922 წლის გაზაფხულში (მე-5-ე ყრილობის დროს) წინსვლის ნიშანს იძლეოდა.

12) ამ ხნიდან საქ. კომკავშირი იმყოფება ნორმალური ზრდის და განვითარების პირობებში. მიღწევანი მისი მუშაობის ყველა დარგში თვალსაჩინოა.

ეკონომიური დაცვის დარგში მან შესძლო მუშათა სათანადო რაოდენობის წარმოებაში დატოვება, მუშათა ახალგაზრდობის კვალიფიკაციის ასამაღლებლად კომკავშირის თაოსნობით გაიხსნა ჯერ კიდევ გასულ წელში ცენტრალური საფაბრიკო-საქარხნო სკოლა (300 კაცისათვის), მიმდინარე წელს გაიხსნა სკოლა არსენალში, პოლიგრაფიულ წარმოებაში, (მბეჭდავთა კავშირი) განზრახულია სკოლების გახსნა რკინისგზაზე, ბათომში, ჭიათურაში და გადაკეთება არსებულ სახელოსნო სკოლებისა. კიდევ ერთი დამსახურება კომკავშირისა ამ მიმართულებით—ეს არის ბრძოლა მთლიანი განათლების სისტემისათვის, რაც სინამდვილეში დააახლოვებს მოსწავლე ახალგაზრდობას შრომასთან.

13) თუ ერთი სტიმული კავშირის შეუჩერებელი ზრდის იყო ეკონომიური მუშაობა, მეორე მხრით აგიტაციის და პროპაგანდის კარგად დაყენება აძლევს კომკავშირს ფართო პერსპექტივების დასახვის საშუალებას. გატარებულია უდიდესი მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.

ძველ წევრებს, რომელნიც 1923 წლამდე შემოვიდენ კავშირში უკვე შესწავლილი აქვთ წერა-კითხვა. (მათი რიცხვი 3000-ს აღემატება)

საზღვარგარეთის მუშათა მოძრაობა

საფრანგეთი

ახალი კომუნისტური გაზეთის გამარჯვება.

პარიზი. 13 ნოემბერი. საფრანგეთის კომპარტიის ხალხში ახალი გაზეთი „ინტერნაციონალი,“ რომელიც გამოვიდა ოთხშაბათს, კარგათ სალდება.

სამთო-მადნო მუშების გაფიცვა აუცილებელია.

პარიზი. 13 ნოემბერი. სამთო-მადნო მუშების დელეგაციის მოთხოვნილების პასუხათ სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ, საზოგადოებრივ სამუშაოს მინისტრმა განაცხადა, რომ ის გადასცემს მოთხოვნილებას განსახილველათ ლუარის დეპარტამენტის მრეწველებს. სამთო-მადნო მუშებმა—რეფორმისტებმა და უნიტარისტებმა განაცხადეს, რომ, თუ 16 ნოემბრისათვის სამუშაო ხელფასი არ იქნება გადიდებული დღიურათ 3 ფრანკით, ისინი გამოვლენ შეთანხმებულათ. გაფიცვა თითქმის აუცილებელია.

ბურჟუაზიული პრესა, ხაზს უსვამს რა მოსალოდნელ გაფიცვის ცუდ შედეგებს, ურჩევს მაღაროების მეპატრონეებს დათმობაზე წასვლას.

საყოველთაო გაფიცვის პროექტი.

პარიზი. 13 ნოემბერი. საფრანგეთის სამთო-მადნო მუშების უნიტარულმა კონფედერაციამ დაადგინა მოითხოვოს სამუშაო ხელფასის გადიდება დღიურათ 5 ფრანკით და, თუ 15 ნოემბრამდე მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული, გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა.

კონფედერაციამ მიმართა სამთო-მადნო მუშების რეფორმისტულ კავშირს წინადადებით შექმნას ერთიანი ფრონტი შეთანხმებული ბრძოლისათვის.

ბულგარეთი

ბულგარეთის კომპარტიის მოწოდება.

ვენა. 13 ნოემბ. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს და ღარიბებს გლეხობას, დაეხმარონ მთავრობის თეთრი ტერორის მსხვერპლთ იბრძოლონ მთავრობის ტერორისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ლარჩენის სამხედრო სასამართლომ გლეხკაცობის 40-ზე მეტს ბელადს, მათ შორის დეპუტატ გრაბენს, გადაუწყვიტა 15 წლით ციხე, 60 გლეხს ციხეში დაპატიმრება 3-დან 6 წლამდე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

დიდი გამოცოცხლება ოდესის ნავთსადგურში.

ოდესა. 14 ნოემ. ნავთსადგურში დიდი გამოცოცხლებაა. გუშინდამ კიდევ რამდენიმე უცხოეთის გემი მოვიდა ხორბლით დატვირთული. წინანდელთან ერთად ამჟამად ნავთსადგურში იტვირთება 6 ინგლისის გემი, 6 იტალიისა და 1 გერმანიისა.

გემების შეკეთება-აგების პროგრამა.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. 10 წლისათვის შემუშავებული გეგმის მიხედვით, უნდა აგონ და შეისყიდონ 155 გემი, რომელთა ტვირთ-მზიდველობა 911,000 ტონას უნდა უდრიდეს: უცხოეთში ნავოსნობისათვის 68 ტვირთის მზიდველი გემი, რომელთაც საერთო რაოდენობით შეუძლიათ 75,500 ტონნას ზიდვა; 97 სატრანსპორტო გემი, 80—სითხის მზიდველი ხომალდი და 64 იალქნიან-მოტორიანი ხომალდი, შინა წყლებში სანაოსნოდ. სულ 79 მილიონის ღირებულობისა (ოქროთი). ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად მონაწილეობას მიიღებს პუტილოვის ქარხანა, ნევის გემთსაგები ქარხანა ნიკოლაევისა და სევასტოპოლის გემთსაგები ქარხნები მდინარეზე სანაოსნო ხომალდების აგებაში მონაწილეობას მიიღებს სორმოვისა და კოლომნის ქარხნები

იარაღების დამზადება.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. სახელმწიფო ხე-ტყის საწყობის სამმართველოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, წელს საკუთარ ქარხნებში უნდა დამზადდეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, სულ 22 მილიონ მანეთად ღირებული (ოქროთი).

განზრახულია სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე და მანქანებზე ფასები დასწიონ ომის წინ არსებულ ფასებამდე, რისთვისაც კონცენტრაციას უზამენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის დამმზადებელ ქარხნებს და ბითუმ ვაჭრობაზე გადავლენ, ზედმეტი ხარჯების ასაცილებლად. წვრილმანი ვაჭრობა კოოპერატივს გადაეცემა.

სასოფლო საბჭოთა ხელახალი არჩევნები.

მოსკოვი. 14 ნოემბ. 10 ნოემბრამდე ხელახალი არჩევნების დროს კომუნისტები აირჩიეს სასოფლო საბჭოებში 6,3 პროცენტი, სავოლოსტო ყრილობაში—16 ნახ. პროც. სავოლოსტო აღმასრულებელ კომიტეტში 47 ნახ. პროც. სამაზრო ქალაქების საბჭოებში—38 ნახ. პროც., საგუბერნიო ქალაქთა საბჭოებში—70 პროც., სამაზრო ყრილობაში—54, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში 32 პროც.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალი სკოლები.

გორი. 13 ნოემბერი. გორის სახალხო განათლების განყოფილებამ გახსნა ახალი შრომის სკოლები სოფ. კახირალში, დოესში, ძევერაში, ძეგვში, სკრაში, რეხაში და მერეთში. განზრახული იყო ორი სკოლის გახსნა ახალოფლის თემშიაც, სადაც ოსები მოსახლეობენ, მაგრამ ოს მასწავლებელთა უშოვრობის გამო ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. ოს მასწავლებელთა უქონლობა სხვა სოფლებშიაც საგრძნობელია. სახალხო განათლების განყოფილება შეუთანხმდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის სახალხო განათლების კომისარიატს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

სომხეთი

საბჭოთა ხელახალი არჩევნები.

ერევანი. 13 ნოემბერი. სომხეთის ყველა სოფლებში დასრულდა საბჭოთა ხელახალი არჩევნები. 11 ნოემბრიდან დაიწყო სამაზრო ყრილობები. 20 ნოემბერს დაიწყება სამაზრო ყრილობანი.

15 კომუნარის ძეგლი.

ეჩმიაძინი. 13 ნოემბერი, ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავის გამო, საზეიმოდ გაიხსნა ძეგლი 15 კომუნარისა, რომლებიც დაიხოცნენ 1920 წ. თებერვალში დაშნაკელთა კონტრ რევოლიუციის დროს. ზეიმის დროს ილაპარაკეს განწირულთა მშობლებმა პაპოვიანმა და ლისიცინმა. მათმა მგრძნობიარე სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.

ერევანი. 13 ნოემბერი. სომხეთის პროფკავშირთან მომუშავე, გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ცენტრალურმა კომისიამ ოქტომბრის განმავლობაში მიიღო შემოწირულობების სახით 300 ჩერვონეცი. განზრახულია 3.000 ფუთი ფქვილის გაგზავნა გერმანიის პროლეტარიატისათვის. გერმანიის მუშათა დახმარების კამპანია დიდის აღფრთოვანებით სწარმოებს, ბევრი საბჭოთა მოღვაწე 50—60 პროც. სწირავს თავისი შემოსავლიდან.

უმაღლესი ტიპის სკოლა.

ერევანი. 13 ნოემბერი. პოლიტგანათლების განყოფილება ერევანში აარსებს უმაღლესი ტიპის სკოლას. მიღებულია 100 თხოვნა. მასწავლებელთა შტატი შევსებულია.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

გუმბრი. 13 ნოემბერი. განზრახულია, წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციოდ დაარსდეს მაზრაში 80 პუნქტი და 30 ქოხ-სამკითხველო.

ახალ მიღებულ წევრთა შორის მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ დამკვრელი წესით წარმოებს. პოლიტგანათლებისთვის არსებობს პოლიტწრეები, და პროპკოლექტივები, რომელნიც აერთიანებენ წევრების 60 პრ.

გარდა ამისა საკლუბო მუშაობა, ქოხ-სამკითხველოების გარშემო გლეხური ახალგაზრდობის დარაზმვა, ეკლესიების გადაკეთება საკულტურო დაწესებულებებათ იძლევა იმედებს კომკავშირის კულტურული წინსვლისას. მასსიური კამპანიები კი აახლოვებს კავშირს უპარტიო ახალგაზრდობის ფართე ფენებთან (სექტემბრის დღესასწაული, კომკავშირის შობა და სხვა კამპანიები).

14) კომკავშირმა მოიპოვა წელს უდიდესი პოლიტიკური გამარჯვება. იმას, რასაც მტრები უწინასწარმეტყველებდენ კომკავშირს, ვხედავთ მტრის რიგებში: ხდება დაშლა, დარღვევა, დემორალიზაცია მოწინააღმდეგეთა რიგებში და ამასთან პარალელურათ სწარმოებს კომკავშირის ძალა-გავლენის გაზრდა, გაფართოება. ამის საუკეთესო ილიუსტრაციაა არის ყოფილ, მარქსისტთა ორგანიზაციების ლიკვიდაცია, 5000 ახალგაზრდის გადმოსვლა საბჭოთა პლატფორმაზე და უარყოფა ძველი გზის. ამით კომკავშირმა განავითარა თავისი გავლენა ინტელიგენტურ (მოწაფეთა) ახალგაზრდობაზეც.

„შევარდენის“ გადახალისება გასულ წელს, ბავშვთა მოძრაობის კომუნისტურ პრინციპებზე წარმართვა, კავშირის უმცროსი ძმის და მომავალი რეზერვის „სპარტაკის“ განვითარება კიდევ ერთი დამარცხებაა ნაციონალისტურ იდეოლოგიის, რაც გვირგვინდება ყოფ. შევარდენთა ინსტრუქტორების კავშირის მხარეზე გადმოსვლით.

15) კომკავშირი არ ეძლევა სალათას ძილს და ის აწარმოებს აღზრდას მათში რევოლიუციონურ რომანტიკის და თავგანწირვის შექმნის მიმართულებით. კავშირი წითელ არმიასთან და სამხედრო ფლოტთან, ათასეულ წევრების გაგზავნა ამ რევოლიუციონურ ავანპოსტზე მყოფ მებრძოლთა რიგებში ამტკიცებს კომკავშირის მიერ თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებას სოც. საბჭ. რესპუბლიკათა კავშირის წინაშე.

16) კავშირის წევრთა რიცხვი მატულობს, 80 პროცენტი საქ. მუშათა ახალგაზრდობის კავშირშია, საუკეთესო ნაწილი გლეხთა ახალგაზრდობისა თავმოყრილია კავშირის რიგებში. 1922 წლის გაზაფხულში საქ. კომკავშირი 8900 წევრს ითვლიდა. 1923 წლის გაზაფხულში 15842, ამ ჟამათ კი 17394. სოციალური შემადგენლობა კავშირისა შემდეგია: მუშები—3530, გლეხები—9668, მოწაფენი—2684, მოსამსახურეები—1328 და სხვები 184. ამ რიგათ ყოველ დღიურად იზრდება კავშირი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებასთან ერთად.

17) საქ. კომკავშირი არაჩვეულებრივ პირობებში ხვდება ექვსი წლის თავს, ევროპაში ამბების განვითარება უთუოთ მოწმობს იქ გრანდიოზულ შეჯახებათა დაწყების მოახლოებას, შედის რა კომკავშირი თავის არსებობის მე-7 წელში, მისი მიზანი უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო მეტათ შეისწავლოს გერმანიის მომავალი რევოლიუცია, თავის მუშაობაში მტკიცეთ გაავლოს წითელი ზოლით კავშირის ვალდებულებას ამ რევოლიუციის მიმართ, შეაჩვიოს მასა მოსალოდნელ მსხვერპლის გაღებას და იმ საშიშროებას, რასაც მსოფლიო ფაშიზმი უმზადებს მუშათა კლასს და კერძოთ-კი ს. ს. რესპუბლიკათა კავშირს. ამ რიგათ კავშირის ბრძოლისა და გამარჯვების ექვსი წელი სრულდება გერმანიის რევოლიუციის დასაწყისის დროს, რომლის გამარჯვებას აღფრთოვანებით მოელის კომუნისტური კავშირი და მთელი მშრომელი ახალგაზრდობა,

ს. ა. კ. კ. ცენტრალ. კომიტეტი.

პარტიული ცხოვრება

ცენტრალურ პარტსკოლის უჯრედში

6 ნოემბერს შესდგა ცენტროპარტსკოლის კომუჯრედის კომუნისტური კავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო წევრების უმრავლესობა რიცხვით 70 კაცამდე. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვარ. გოგისვანიძე, მდივნად ამხ. ერმანი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავი, 2) არალეგალურად მომუშავე ამხანაგების მოგონებანი პარტ-მუშაობის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ საინტერესო მოხსენებას აკეთებს სკოლის გამგე ამხ. გ. ხაჭაპურიძე, რომელიც პოპულიარული ენით აშუქებს რუსეთის მუშათა კლასის მიერ წარმოებულ ბრძოლას და მასთან დაკავშირებით იმ მეთოდებს. რომლის საშუალებითაც კომპარტია ახერხებდა გამარჯვების მოპოებას. ამჟამად მსოფლიოში დაპირისპირებულია გადამწყვეტი ბრძოლისთვის ორი ძალა—ამბობს მომხსენებელი. პირველი ძალა, რომელიც იბრძვის საუკუნოებით დამონებული კაცობრიობის განსათავისუფლებლად კომუნიზმის დროშის ქვეშ. მეორე ძალა არის აგონიაში მყოფი კაპიტალიზმი, რომელიც თავის სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ სცდილობს სისხლში ჩაახრჩოს რევოლიუცია და ჩვენი მოვალეობაა არ მივსცეთ საშუალება რეაქციონურ ბურჟუაზიას შესძლოს მუშათა კლასის დამარცხება და თავისი შერყეული ძალაუფლების აღდგენა.

შემდეგ არალეგალურად მომუშავე პარტამხანაგების მიერ წაკითხულ იქნა საკუთარი მოგონებები ჩვენი პარტიის მუშაობის შესახებ. ასეთი მოხსენებები გაკეთებულ იქნა ყველა მაზრიდან, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია კურსანტებში. დასასრულ ამავე სკოლაში ნაჩვენები იქნა ეკრანზე რამდენიმე საინტერესო სურათები, რომლის წინ ცალ-ცალკე განმარტებებს მათი მნიშვნელობის შესახებ იძლეოდა ამხ. ხაჭაპურიძე. განსაკუთრებით შთაბეჭდილება დასტოვა კურსანტებზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის სურათმა თავის ზვინის წინ, როდესაც ის ემალებოდა ბურჟუაზიული მთავრობის ჯალათებს.

ასეთი მოხსენებები და საღამოები დიდათ უწყობენ ხელს ახალგაზრდობის გათვითცნობიერებას და საჭიროა ხშირათ მათი გამართვა.

ქ. ბ.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაცია

(რეზოლიუცია მიღებული მათ ყრილობაზე ამ ორგანიზაციების თვით ლიკვიდაციის შესახებ)

1. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციების ისტორიული დამსახურება საქართველოს სინამდვილეში გამოიხატებოდა ქართველი ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობაზე ფაქტიური გავლენით. მათ მიზანს შეადგენდა ახალგაზრდობის მარქსისტულათ გაწრთვნა. და რამდენადაც მათ ჩაუნერგეს ქართველ ახალგაზრდობას, რევოლიუციონური ბრძოლის სურვილი, ამდენად შეგვიძლია ვიცნოთ მათი ეს ისტორიული დამსახურება.

2. „ახ. მარქსისტთა“ ორგანიზაციების ჩანასახების არსებობა დაიწყო ჯერ კიდევ 1915 წელს.

3. მათი სისტემატიური-ორგანიზაციული არსებობის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს 1917 წ., როდესაც მოისპო მეფის რეჟიმის საშიშროებანი და ახალგაზრდებმა თავი დააღწიეს აღზრდის ბიუროკრატიულ წესებს.

4. ჩვენი ორგანიზაციები დღიდან ჩასახვისა ატარებდენ აკადემიურ ელფერს, მაგრამ ამავე დროს უმთავრესათ ასრულებდნენ პოლიტიკური ორგანიზაციების ფუნქციასაც. ამიტომ ცდებიან ისინი, ვინც ვილაცას თვალების ასახვევად ამტკიცებენ, ვითომ ჩვენს ორგანიზაციებს ჰქონდა მარტო კადემიური ხასიათი.

5. ახ. მარქსისტთა შორის განხეთქილების (რომელიც ფაქტიურად 1918 წ. მოხდა პირველ ლეგალურ კონფერენციაზე) მთავარი მოტივი იყო გამოაშკარავება პოლიტიკური ხაზის იმ სხვადასხვაობისა, რომელიც ჩაისახა ჩვენსა და ახალგაზრდა „სპარტაკელებს“ შორის; ეს უკანასკნელები ამ დრომდე ჩვენთან ერთად მუშაობდნენ ორგანიზაციებში.

6. ჩვენი ორგანიზაციის ისტორიას ახსოვს მემარცხენეთა მიმდინარეობანი, მაგ., მიხეილიძის ჯგუფი, რომელიც იმ თავითვე იზიარებდა იდეას პროლეტარიატის დიქტატურისას როგორც მართველობის პოლიტიკურ ფორმას და რომლის საკითხი ხელახლა დაისვა მე-3 ლეგალურ კონფერენციაზე, სადაც გამოდიოდა დუდუჩავას ჯგუფი.

7. ჩვენი ორგანიზაციების წარსულის შესწავლა და ამ წარსულის მიუდგომელი შეფასება გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ორგანიზაცია პრაქტიკულ საქმიანობის სფეროში ატარებდა ტაქტიკას 2-რე ახ. ინტერნაციონალისას და ამდენადვე ის, სოც.-დემ. მუშათა პარტიასთან ერთად, იზიარებდა ფორმულას „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“.

8. „ახ. მარქსისტთა“ ორგანიზაციები იმ თავითვე დაკავშირებული იყვნენ საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიასთან (მენშევიკებთან) და მასთან განუყრელად ეწეოდა თანამშრომლობას სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში. საქართველოში გადატრიალების შემდეგ ეს ორგანიზაცია არალეგალურათ მუშაობს და კვლავ რჩება ხსენებული პოლიტიკური პარტიის გავლენის ქვეშ და ასრულებს ყველა მის დირექტივებს.

9. საქართველოს ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის 1922 წ. ანგარიშების მიხედვით ჩვენს ორგანიზაციებში მთავარი ყურადღება ექცევა პოლიტიკურ მუშაობაში ახალგაზრდობის ჩაბმას და ამდენადვე ის ჰკარგავს აკადემიური ორგანიზაციის ხასიათს.

10. 2 რე ახალგაზრდათა ინტერნაციონალი ეთანხმება ჰამბურგის კონგრესის დამფუძნებელ კრებაზე მიღებულ რეზოლიუციას ახ. 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

11. 2-რე ახ. ინტერნაციონალი მზად არის დაიცვას დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივობა. ამის საუცხოვო ნიმუშს იძლევა ხოპმანის (გერმანიიდან) განცხადება ჰამბურგის კონგრესზევე: „ჩვენი ორგანიზაციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნებით ჩვენი რესპუბლიკის მოსპობის, რადგან იქ ყველანი თანასწორი უფლებით ვსარგებლობთ“.

13. 2-რე ახალგაზრდათა ინტერნაციონალმა დაჰკარგა თავისი გავლენა მშრომელი ახალგაზრდობის რიგებში, რაც ამტკიცებს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპების სიმართლეს.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, ყრილობა ადგენს.

14. პარლამენტარული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ გარდამავალ ხანას შეესაბამება პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც მართველობის პოლიტიკური ფორმა.

15. ოქტომბრის რევოლიუციის გაკვეთილებმა დაგვანახვა, რომ თებერვლის რევოლიუცია იყო ბურჟუაზიული, რომელსაც შემდეგში ამ სახით არსებობა არ შეეძლო. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუცია გახდა პროლეტარული რევოლიუციის კლასიკურ სახეთ, და ის პოულობს დღევანდელ სინამდვილეში გამოძახილს დასავლეთ ევროპის სინამდვილეში.

16. საქართველოს დამოუკიდებლობის ის ფორმა, რომელსაც ატარებდა ხსენებული სახელმწიფო, იყო არა სოციალისტურად გაგებული დამოუკიდებელი სახელმწიფო; საქართველოში თავისუფლად დათარეშობდენ იმპერიალისტური ჯარები, რაც დიდ საფრთხეს უმზადებდა რუსეთის და სხვა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებს.

17. რუსეთის წითელი არმიის 11 თებერვლის ისტორიული ნაბიჯი მარქსისტულათ გაგებული რევოლიუციონურ ომების თეორიის მიხედვით გასამართლებელი ხდება, თუ ამ ისტორიულ ფაქტს თან დაუმატებთ იმ უამრავ აჯანყებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში.

18. დღეიდან ჩვენი ორგანიზაციების დამოკიდებულება მე-3 აქ. კომუნისტური ინტერნაციონალთან აშკარაა. ჩვენი ყრილობა, რომელიც თვით ლიკვიდაციამდე მივიდა, იზიარებს ამ ინტერნაციონალის პლატფორმას და ხელს იღებს ახალგაზრდათა მეორე ინტერნაციონალის ოპორტიუნისტულ პოლიტიკაზე.

19. ის ახალგაზრდა მარქსისტები, რომლებიც ამიერიდან მზათ არიან მიიღონ მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა, დღეიდან შევლენ ახ. კომუნისტურ კავშირებში და საბჭოთა აღმშენებლობაში ენერგიული მონაწილეობით შეეცდებიან გამოისყიდონ ის შეცდომები. რომელნიც დაუშვეს ჩვენმა ორგანიზაციებმა არალეგალური მუშაობის პროცესში.

20. მეორე ახალგაზრდა ინტერნაციონალთან კავშირის გაწყვეტით, ჩვენი ყრილობა ადგენს მანდატი ჩამოერთვას დელეგაციას, რომელიც წარგზავნილი იყო 2-რე ახ. ინტერნაციონალში საქ. ახალგაზრდა მარქსისტების სახელით; ამიერიდან მას ყრილობა ყოველგვარ უფლებას ართმევს ილაპარაკოს ამ ორგანიზაციების სახელით.

21. სრულიად საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობა ადგენს გაუქმებულად იქნეს გამოცხადებული საქ. ახალ. მარქ. ცენტრალური კომიტეტი.

22. საქართველოს ახალგაზრდა მარქ. ყრილობა, რომელსაც დაესწრო 110 დელეგატი—5025 კაცის წარმომადგენლები, ითვალისწინებს რა საქ. ს. დ. მ. პ. ყრილობის დადგენილებებს და ამასთანავე იმ ისტორიულ პირობებს, რომელნიც შექმნილია გერმანიის რევოლიუციის აუცილებლობით, ერთის მხრივ და რეაქციის გაძლიერებით, მეორეს მხრივ, გაერთიანებული ფრონტის პრინციპიდან გამომდინარე, გაუქმებულათ აცხადებს საქართველოში არსებულ ყველა ახალგაზრდა მარქ. ორგანიზაციებს.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. კოწია სტურუას გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ზუგდიდიდან ფენია ხაბურზანიას, ო. გვილავას, ექიმ კოლია ბენდელიანს; ქუთაისიდან ვერა ჰუბაბრიას, მაშა ცხონდიას და მაზრის ქალთა განყოფ. გამგეებს.

ნ. გახარია.

ქიათურელ ამხანაგების გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ჩერვონეცი.

ნიკო ბუაჩიძე.

შემომაქვს რა ინჟ. ტუიარნის გამოწვევით ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ, ჩემის მხრივ ვიწვევ ინჟენერებს პაპუნა აბაშიძეს, ალ. ლორთქიფანიძეს, კირილე ბოჭორიშვილს, ავქსენტი ბერიშვილს და შამშე ლექავას.

ინჟენერი ყიფიანი.

ამხ. ანდრო დოლიძის გამოწვევით გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემომაქვს ერთი ჩერვონეცი.

ბეჟან ხუნდაძე.

ამხ. ანდრო დოლიძის გამოწვევით გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემომაქვს (20,000,000) ოცი მილიონი მანეთი.

არტემ თედორაძე.

ამასთანვე ერთად გიგზავნით ლანჩხუთში ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის დღეს შეგროვილ 357 მილიონ (3 ჩერვონეცს და 58 000 000) მანეთს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

ვლ. დოლიძე.

ახალ სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მუშა მოსამსახურეთა გამოწვევაზე ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის, ტელეფონის ქსელის სადგურის და განყოფილების № 1 მუშა-მოსამსახურენი ამასთან ერთად გიგზავნით გერმანელ მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ შეგროვილ ოთხას თორმეტ მილიონ მანეთს ბონებით და ერთ ვერცხლის მანეთიანს, ჩვენი მხრით კი ვიწვევთ ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატიდან ამხ. ამხ. ათარბეგოვს, გიგიჩკორს, ბონდარიოვს, რაზუმენკოს და ვარლამოვს.

ქუთაისის ფ. ტ. კანტორის № 1 განყოფილების და ტელეფონის ქსელის მუშა-მოსამსახურენი.

ამხ. სერგო მეგრელიშვილის გამოწვევით გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის დასახმარებლათ ვსწირავ ას მილიონ მანეთს და ვიწვევ რკინისგზის ტფილისის სადგურის მოსამსახურეებს, საქონლის სადგურის ადგილკომებს, მოძრაობის და რკინისგზის მილიციის ადგილკომებს.

ნ. კობიძე.

ამხ. ანდრო დოლიძის და გრიგოლ მგალობლიშვილის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 75 მილიონი მანეთი და ჩემდამი რწმუნებულ ოზურგეთის № 1 შვიდწლიანი შრომის სკოლის მასწავლებელთა შორის ამავე მიზნით შეგროვილი წვლილი 260 მილ. მანეთი, რომელიც გაიღეს შემდეგმა პირებმა: გიორგი ჭყონიამ 75 მილ. მან., ყარამან ქარცივაძემ—20 მილ. მ., ნინო კისილისამ—20 მილ., ნინო მასხულიასამ—20 მილ., თინა პეიშვილმა—20 მილ., სოფიო სულუხიამ—20 მილ., ევგენია ხომერიკმა—20 მილ., მარიამ ქელენტისამ—20 მილ., ანა თავართქილაძისამ—20 მილ., ელენე კეჭაყმაძე—20 მილ., ეკატერინე ჯაყელმა—20 მილ., ილია ორაგველიძემ—20 მილ., თედორე ჭყონიამ—20 მილ., სიმონ ბარამიძემ—10 მილ. და ალექსანდრე თოხაძემ—10 მილ. მან., სულ—335 მილ. მან.

აღნიშნული სკოლის პედაგოგიური საბჭო მთელი მისი შემადგენლობით იწვევს ამავე მიზნისაკენ ოზურგეთის № 2 შვიდწლიანი შრომის სკოლის გამგეს, მის მოადგილეს და მასწავლებელთა მთელ კორპორაციას.

ოზურგეთის № 1 შვიდწლიანი შრომის სკოლის გამგე გ. ჭყონია.

ამხ. ქურდღულაძის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ სამოცი მილიონი მან. (60.000.000), და ქ. დუშეთის საინფორმაციო პუნქტის თანამშრომელთაგან ათი მილიონ მან. (10.000.000). სულ სამოცდაათი მილიონი მანეთი.

ლადო ლალიაშვილი.

ამხ. პროკოპი მეგრელიშვილის გამოწვევის საპასუხოდ გიგზავნით ორმოცდაათ მილიონ მანეთს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ივანე ფირცხალავა.

ვეთანხმებით რა გაზეთ „კომუნისტ“-ში უპარტიო ქალის, კომუნისტის ცოლის წერილის აზრს და ვეერთდებით რა მის მოწოდებას, ვწირავთ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 22 წლის წინეთ შეძენილ ორივე ცოლ-ქმრის ჯვრის წერის ოქროს რგოლის ბეჭდებს. მოუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუციის ინტერესები, მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

მარიამ და ტარასი მგალობლიშვილები.

ამხ. გიზო დოლიძის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ, დედაჩემის ორმისხლიან ოქროს ბეჭედს და ვიწვევ ჩემებრ პაწიებს: ლადო ანდრიას ძე თიკანაძეს, კოტიკა ევგენის ძე ანდღულაძეს, ნაპოლეონ გრიშას ძე სიამაშვილს, მამუკა ნოეს ძე აბაშმაძეს, კუკური ელისოს ძე ანთელიძეს, მიშიკო პანტელეიმონის ძე გოგატაძეს, შალვა აკაკის ძე ვაშალომიძეს (ოზურგეთიდან), კიკოლიკა ვალოდიას ძე ბურჭულაძეს (სამებიდან), გოგი ლევანტის ძე ლეონტს (ქუთაისიდან). მე ღრმათ მწამს, რომ ყველა სიამოვნებით გაიღებს თავის წვლილს გერმანიის ჩვენებრ პაწია, მომავალი მებრძოლების სასარგებლოთ.

ლელა ვალოდიას ასული თავართქილაძე.

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდის გასაძლიერებლათ ოცდაათი მილიონი (30.000.000) მანეთი.

დავით მარკოზის ძე დეკანოსიძე.

შემოვიდა 13 ნოემბერს:

დოლიძე 3 ჩერვონეცი და 58 მილ. მან., ნ. გვახარია 1 ჩერვ., ნ. ბუაჩიძე 1 ჩერვ., დ. ყიფიანი 1 ჩერვ., ბ. ხუნდაძე 1 ჩერვ., არტემ თედორაძე 20 მილ., ახალ-სენაკის ფ. ტ. კანტორის მუშა-მოსამსახურეებისაგან 1 ვერცხლის მანეთი და 412 მილ., ნ. კობიძე 100 მილ., ოზურგეთის № 1 შვიდწლიანი შრომის სკოლის გამგე ჭყონია გ. 335 მილ., ლ. ლალიაშვილი 70 მილ., ი. ფირცხალავა 50 მილ. რკ.-გზის პროფესიონალური განათლების კურსებიდან, სადგურის უფროსის თანაშემწეებისაგან 40 მილ., რკ.-გზის პროფესიონალური განათლების კურსებიდან, გზის ოსტატებისაგან 32.670 000 მან., რკინისგზის პროფესიონალური განათლების კურსების ლიანდაგის უფროსებისაგან 30 600 000 მან., ლარანის ფ. ტ. განყ. და ლაილაშის ფ. ტ. განყოფილ. მუშა-მოსამსახურეებისაგან 17 მილ. მ. და ტ. მგალობლიშვილები 2 ოქროს ბეჭედი (რგოლი), ლ. თავართქილაძე 1 ოქროს უთვალო ბეჭედი (2 მისხლიანი), დ. დეკანოსიძე 30 მილ.

სულ: 7 ჩერვონეცი, 1 ვერცხლის მანეთი, 3 ოქროს ბეჭედი და 1.195.270 000 მანეთი.

წინეთ შემოსულით: 324 ჩერვონეცი, 9 ნახევარი გირ. ინგ. სტერლინგი, 30 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 14 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 35 ვერცხლის მანეთი, 3 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, და 13 938 117 000 მანეთი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(14 ნოემბერი).

ჩერვონცები — —	— 109,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	103,000
ჩეკები	—100,000
დოლარები ეფექტ.	— 23,500
ჩეკები	22.000
ოსმ. ქაღ. ლირა	12.800
იტალიური ლირა	700
ფრანგული ფრანკი	1050
საბჭ. ფულის ნიშნები	12

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—600 ათ., პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1350 მ. ცხვრის ხორცი—1,800 ათ. შაქარი რაფინადი 5150 ათ., ფხვნილი შაქარი 3200 ათ., ვერმიშელი—1550 ათ., კარტოფილი—210 ათ. მაკარონი 1650.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—700—800 ათ. პური 2 ხარ—500 ათ., ძროხის ხორცი—1500 ათ., ცხვრის ხორცი—2 მილ. შაქარი რაფინადი—5.200 ათ., ფხვნილი შაქარი—3,300 ბრინჯი ალდ.—1,300, მაკარონი—1,700. კარტოფილი—250 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ავტომობილების კამერები და შინები. შუშა. ელექტრონის ლამპები. ლაჟვარდის თამბაქო. ლურსმანი. ფხვნილი შაქარი რუს. და ჰოლანდიური. ხალომასი. შაბიამანი. კანიფოლი. სპილენძი. ჩაი. აბრეშუმი (დაურთავი). რუსული და იტალიური მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები. ფანჯრის მინა. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი. ოლიფის ზეთი. ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. რკინეულობა. ელექტროტეხნიკური მასალა. ქვა-მარილი ნახიჩევანის ყუბანის ფქვილი. (საკონდიტერო), საგზა, მაკარონი და ვერმიშელი.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუსული შაქარი რაფინადი და ფხვნილი. რუს. მანუფაქტურა. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდიის ცემენტი. რკინეულობა. ყუბანის ფქვილი 1 ხ. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი. ელექტრონის ლამპები.

ოფიციალური გარიგებანი.

ასანთი რუს. (ვოლკოვის)—14 მან. ჩერვ. ყუთში—ფრანკო გამყიდველის საწყობი აქციზის გადახდით.

ელექტრონის ლამპები 2 მანეთიდან 5 მანეთამდე ცალში, ფრანკო მყიდველის საწყობი როსტოვში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის ბაზრის საერთო განწყობილება: უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

12 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 5 გარიგება. სულ 14832 მან. ჩერვ. თანხისა.

სავალიუტო კომისია.

29 ოქტომბერს გახსნა თავისი მოქმედება სავალიუტო კომისიამ, რომელიც არჩეული იყო „ჩემო“-ს საბჭოს სხდომაზე 5 ოქტომბერს. დღევანდლამდის 9 ფირმამ მისცა ვალდებულება აწარმოოს თავისი სავალიუტო ოპერაციები მხოლოდ საზ. „ჩემო“-ს საშუალებით.

ტფილისის საბჭოს პლენუმი

12 ნოემბრის სხდომა

სადგილ-მამულო განყოფილების მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. ჯაფარიძე)

სადგილ-მამულო განყოფილება იყოფა 4 ქ. განყოფილებად. მიწად მომწყობი აგრონომიული, ვეტერინალური და საექსპლოატაციო - სხიოჯარო.

მიწად-მომწყობი ქვე-განყოფილება.

ქვეგანყოფილება თავის მოქმედებას იწყებს ა. წ. მარტის პირველ რიცხვებში პარტ.-ორგანიზაციების და პასუხისმგებ. ამხანაგების დახმარებით. პირველ ყოვლისა საჭირო იყო გაჯანსაღება ძველი კომიტეტების, სადაც ბევრ სოფლის ბობოლებს შეეფარებინა თავი. მოკლე ხანში მათი ადგილი დაიჭირეს ღარიბ-ღატაკებმა და რეფორმამ მიიღო თავისი ნამდვილი სახე.

საკომასაციო მუშაობა დაიწყო დაახლოვებით აპრილის შუა რიცხვებში და ამ ჟამად შესრულებულია შემდეგი მუშაობანი: დამთავრდა მიწის მოწყობა 88 სოფელში, რომელიც შეიცავს 127539 დესეტ. აღნიშნულ სოფლებში ჩამორთმეულია 4.734 დესეტ. მუშაობა დღეს სრულიად დამთავრებულია მხოლოდ კოჯრის რაიონში, მოკლე ხანში დამთავრდება თელეთის და ყარაიაზის რაიონში, ხოლო დეკემბრის პირველისათვის დასრულდება ავჭალის, წყნეთის, ნორიოს და სართიჭალის რაიონებში. მომავალი წლისათვის დარჩება ორი რაიონი, ერთი სიტყვით მომავალ გაზაფხულისათვის დასრულდება ყველა რაიონები, გარდა ასურეთისა, რომელსაც უფრო დიდი დრო დასჭირდება.

საქმის კეთილად და სისწრაფით დასრულებისათვის საჭიროა მიწის კომიტეტების ნივთიერად უზრუნველყოფა და მიწის მზომელთა რიცხვის გადიდება.

აგრონომიული ქვეგანყოფილება.

აგრონომიულმა ქვე-განყოფილებამ წელს ძლიერ გვიან დაიწყო მუშაობა, რომელსაც ჰქონდა უფრო მოსამზადებელი ხასიათი და არ იყო იმდენად ნაყოფიერი, რამდენადაც საჭირო იყო,

წლის დამლევს უმთავრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული დამთესს კომიტეტების მოქმედებას და სხვადასხვა რაიონების გამოკვლევას.

მთელი მაზრა შესწავლილია და დაყოფილია შემდეგ რაიონებად: წალკის, მანგლისის, ალბულაღის, გარეუბნის, ასურეთის, გარეკახეთის.

საექსპლოატაციო ქ. განყოფილება

ორთაჭალის საბჭოთა მამულებში შემდეგ დარგებში სწარმოებდა მუშაობა: მებოსტნეობაში, მეყვავილეობაში, მეხილეობაში მერძეობაში, მელორეობაში, მექათმეობაში, მეთხეობაში და მეკურდღლეობაში. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მებოსტნეობას, მეყვავილეობას და მერძეობას.. დიდი ყურადღება ექცეოდა სადრეო და საგვიანო ბოსტნეულობის მოყვანას, რისთვისაც საჭირო შეიქნა სათბურების გამრავლება. წელს მუშაობდა 38 სათბური, საჭიროა კიდევ გაკეთდეს 60 სათბური.

ყვავილების გამოსაფენად გამართულია 5 ორანჟერეია, რომელთაც წელს 15 000 მანეთის ყვავილი მოგვცეს.

დანარჩენი დარგები არ არიან შემოსავლიანი, თუმცა დიდი დანიშნულება აქვთ.

ორთაჭალის მამულზე დახარჯულია ოქტომბრის დამლევამდე 16.016 ჩერვ. მანეთი, ხოლო გაყიდულია ამ მამულიდან 19.487 ჩერვ მანეთი.

ქალაქის მინდვრებიდან შემოვიდა 1,727. მან. 45 კაპ.

ვეტ. სანიტ. ქ. განყოფილება

ტფილისში, როგორც ა.-კავ. ცენტრში მთელი კავკასიის კუთხეებიდან და სპარსეთ-ოსმალეთიდან თავს იყრის დიდ ძალი საქონელი, რაც დიდ და სერიოზულ მოთხოვნილებას უყენებს ქალაქის ვეტერინარებს.

9 თვის განმავლობაში სადგილ-მამულო განყოფილების შემოსავალი იყო 52 050 მან. 23 კაპ. ჩერვ. გასავალ.—38 256 მან. 17 კაპ. ჩერვ.

საბჭოთა სადგილ-მამულო განყოფ. მუშაობას იწონებს და ავალებს კვლავ იმავე ენერგიით განაგრძოს მუშაობა.

პროფკავშირებში

მელითონეთა კავშირის სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობა

მეორე სხდომა.

კულტმუშაობა.

კულტურ.-საგანმანათლებლო დარგში მუშაობის დროს კავშირს წინ გადაეღობა დიდი დაბრკოლება—სახსარის უქონლობა კულტფონდისათვის, რაც პროცენტულ ანარიცხების დროზე შეუტანლობით აიხსნება.

უკანასკნელ ხანებში კულტფონდი ფინანსიურად განმტკიცდა და კულტმუშაობაც აღორძინების გზას დაადგა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პროფტეხნიკურ კურსების შექმნას.

პირველად კურსები გაიხსნა 26 კომუნარის სახელობის მექანიკურ ქარხანასთან. მოეწყო აგრეთვე პროფტეხნიკური კურსები არსენალთან. კურსების შენახვას სავსებით კისრულობს კავშირი. აღსანიშნავია, რომ სამეურნეო ორგანოები ნაკლები ინტერესით მოეკიდენ პროფტეხნიკურ კურსებს.

პროფსაბჭოს მიერ ჩვენი კავშირის წევრთათვის დანიშნული ადგილები მუშფაკზე და უმაღ. სასწავლებლებში სავსებით შევსებულ იქნა.

საანგარიშო პერიოდში კავშირმა მოაწყო ორი კლუბი, რომლის ინვენტარის და ავეჯის შესაძენად კავშირმა დიდი ენერგია და ხარჯები გაიღო.

კლუბებთან მოწყობილია სამი დამატებითი წრე, ანტირელიგიურ პროპაგანდის წრე და თითო თითო მუსიკალური და სასპორტო წრეები. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეში კავშირმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰასაკ გადასულ მუშებს, წერაკითხვის უცოდინარობა კავშირის წევრთა შორის მოსპობილად უნდა ჩაითვალოს. ამჟამად ტფილისში ითვლება მხოლოდ 23 წ. კ. უცოდინარი, ხოლო პროვინციაში 27. სულ 50 კაცი.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა, როგორც ახალგაზრდობის, ისე მოზრდილ მუშათა ფიზიკურ აღზრდას. ამ მიზნით მსხვილ წარმოებებთან, როგორც არის არსენალი, ლითონის განყოფილება, მოეწყო წრეები, სადაც მეცადინეობა რეგულიარულად სწარმოებს:

მესამე სხდომა.

საღამოს სხდომა შეეხებოდა ცენტრალურ გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო კამათს. კამათში სიცხოველე შეიტანეს ახ. კომ. კავშირის წევრებმა, რომელნიც აღნიშნავდენ, რომ კავშირი სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდა ახალგაზრდებს შორის მუშაობას.

მუშათა ცხოვრება

ხაქ'ოვი ქარხანა „3-მე ინტერნაციონალი"-ს სახელობაზე

აქაურ მუშათა ნივთიერ ცხოვრებაში ყველაზე მეტ დაბრკოლებად ჩაითვლება უბინაობა. საგრძნობი ნაწილი მუშებისა უბინაოდ არიან. მუშების პირდაპირმა ორგანომ, ფეიქართა კავშირმა შეეცადა გამოეყვანა ეს მუშები ასეთ მდგომარეობიდან. ამ მიზნით კავშირმა ქალაქის ალმასკომისაგან აიღო თავის ანგარიშზე ერთი თვის წინედ 56 ოთახიანი სახლი. მაგრამ, როგორც ეს საერთო მოვლენად გადაიქცა დღეს, ანგარიშზე აღებული სახლი სრულიად სავსე აღმოჩნდა იმ მობინადრე საბჭოთა მუშა-მოსამსახურეებისაგან, რომელნიც ითვლებიან კავშირის წევრებად. ამ შემთხვევაში, როგორც გამოუყენებელი სახლი, ის ისევ დატოვებულ იქნა კავშირის მიერ თავის ანგარიშის გარეშე. უბინაო მუშები ისევ ძველ მდგომარეობაში არიან, რის შესახებაც კავშირმა უნდა მიმართოს რაიმე საშუალებას.

მუშკორი შ. ა.

ავლაბრის მუშათა კლუბი

(პროფკავშირის საბჭოს საყურადღებოდ.)

ავლაბრის მუშათა კლუბში უწესრიგობაა. ყურის მგდებელი მას არავინ ჰყავს. თვით წარმოდგენის დროს დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი კლუბში. მას ჰყავს ერთი კონტროლიორი, რომელიც აჩუმებს ხან ერთ ბალკონს და ხან მეორეს, მაგრამ მაინც ვერას ხდება. არის შემთხვევები, როდესაც დამსწრენი სცემენ ერთმანეთს უწესრიგობაა კონტროლიორების ნაკლებობის გამო. ხდება ისეთაც, რომ ვისაც ბილეთი აქვს, ფეხზედ სდგას და ვისაც კონტრამარკები აქვს, ისინი სხედან გამოჭიმულები. ყოველივე ეს ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენი მუშები მოითხოვენ მოისპოს ასეთი უწესრიგობა ავლაბრის კლუბში და მას მიეცეს ნამდვილი კულტურული „კერის" სახე.

ახალგ. კომ.-კავ. წევრი ი. ჯ.

ჯამაგირს დროზე არ იძლევიან

(მელითონეთა კავშირის საყურადღებოდ).

არსენალის რაიონის ცეცხლის მქრობელი რაზმის მოსამსახურეებს ჯამაგირი დროზე არ ეძლევათ. ჯამაგირს იწერდენ თვის მე-8 რიცხვს საქონლის მანეთის კურსით; მოსამსახურეები კი იღებდენ თვის ბოლოს, ან მეორე თვეში. უქმე დღეების შრომის ხელფასი აპრილიდან სექტემბრამდის მიიღეს ძველი კურსით სექტემბერში. სპეც-ტანისამოსს ეს რაზმი არ ღებულობს. 1 ოქტომბრიდან ამ რაზმის მოსამსახურეები მიაწერეს ტფილისის საარტილერიო საწყობს. მოსამსახურეებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. იფიქრეს: „ახლა მაინც კი ავიღებთ დროზე ჯამაგირს საარტილერიო საწყობის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად". მაგრამ, დახეთ უბედურებას! იმ დღეს, რა დღესაც საარტილერიო საწყობის მუშა-მოსამსახურეებმა ჯამაგირი მიიღეს, საარტილერიო საწყობის უფროსს მოუვიდა ბრძანება: „შეამცირეთ არსენალის რაიონის ცეცხლის მქრობელი რაზმის მოსამსახურების შტატი 15 კაცით"-ო. ამას წინედ იყო შტატის შემცირება და რამოდენიმე მუშა დარჩა სამსახურს გარეშე ულუკმა-პუროდ. ახალმა ბრძანებამ სასოწარკვეთილებას მისცა ამ რაზმის მოსამსახურეები. მოსამსახურეები დიდი იმედით შეჰყურებენ მელითონეთა კავშირს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კავშირი დაიცავს მისი წევრების ინტერესებს და მომავალში მაინც გაუმჯობესდება ამ რაზმის მოსამსახურეების მდგომარეობა.

მუშკორი ლოშკარ

ტფილისის № 1 გამასწორებელ სახლის ცხოვრებიდან

გამოიცვალა თუ არა შემადგენლობა, მუშაობაც გაჩაღდა.

მართლაც ხსენებულ გამასწორებელ სახლის ახლად ამორჩეულმა ადგილკომმა უნდა ითქვას, რომ ბევრი კარგი რამ გააკეთა თავისი თანამშრომლებისათვის.

1) ადგილკომის დაუღალავი მუშაობით, სახლის თანამშრომლებს გაედიდათ თავისი ძალზე მცირე ჯამაგირები. წინედ ისინი იღებდენ 8 მანეთს თვეში, ახლა კი მიიღეს 13 მან. და 20 კაპ.

თანამშრომლებმა მიუხედავად ჯამაგირების მომატებისა საუცხოვო სპეც-ტანსაცმელებიც მიიღეს.

წუხილი და უკმაყოფილება ახლა მოისპო. ყველა კმაყოფილია. თანამშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებით ადგილკომი ხარობს.

„ჩვენ გავიმარჯვეთ, საჭირო იყო მხოლოდ ჩვენი უფლებების მოხმარება და ყველაფერი გაკეთდებოდა"-ო ამბობს ადგილკომი.

მდგომარეობის გამოცვლასთან ერთად, თანამშრომლები გულმხურვალედ შეხვდნენ გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარებაზე მოწოდებას და ერთხმად შესწირეს მას თავისი ერთი დღის ხელფასი.

საკვირველია მხოლოდ ერთი რამ. ხსენებულ ადგილკომთან არსებული ამავე გამასწორებელ სახლის საავადმყოფოს ადგილკომს დღემდე თითქოს სძინავს და თანამშრომლებს მხოლოდ დაპირებებით და იმედებით ასაზრდოებს.

ის ლაპარაკობს: „ნოემბერში ყველაფერი გაუმჯობესდება, წლის ბოლოს ყველაფერს მივიღებთ"-ო.

გამასწორებელ სახლების საავადმყოფოს თანამშრომელთა მდგომარეობა კი გაცილებით უარესია, ვიდრე თვით გამასწორებელ სახლის. საჭიროა ამოქმედება, ენერგიული მუშაობა.

№ 1 საავადმყოფოს ადგილკომმა გამასწორებელ სახლის ადგილკომის მუშაობის მაგალითით უნდა იხელმძღვანელოს და საქმეც სასურველად უნდა მოაგვაროს.

მუშკორი მახს.

მუშათა კოოპერატივები ვერ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად

(პროფკავშირის და მუშათა კოოპერატივის გამგეობის საყურადღებოდ).

მუშათა კოოპერატივი არის უდიდესი ორგანიზაცია ჩვენი მუშებისათვის და მას ჩვენ უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება, როგორც ერთერთს მუშათა უდიდეს კავშირს.

ამ წერილში მე მინდა შევეხო მუშათა კოოპერატივის მუშების ცხოვრებას. ავიღოთ, მაგალითად, დუქნებში მომუშავე ნოქრები და კონტორის მოხელენი, რომელნიც დილიდან-საღამომდის განუწყვეტლივ მუშაობენ და ზედმეტი საათის მუშაობის ხელფასს კი ვერ ღებულობენ. ჯერ მათი ძირითადი ჯამაგირი არაფერს არ წარმოადგენს. ცოლშვილის პატრონი მუშა იღებს არა უმეტეს 14—16 საქონლის მანეთს თვეში.

მე ძალიან მიკვირს, რით სცხოვრობს ეს მუშა? იმას იქ კრედიტი არა აქვს და ფულსაც ვერ შეინახავს, რომ იცხოვროს ამ ფულის ნაწილით. მუშები გრძნობენ, რომ მუშათა ორგანიზაციაში მუშაობენ და ჩუმად არიან. მაგრამ ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ ისინი კარგადა სცხოვრობენ. მათ კი არავინ აქცევს ჯეროვან ყურადღებას და ზოგჯერაც შეურაცხყოფასაც აყენებენ მათ. რომელ დუქანშიაც არ შეხვიდეთ, მუშები ყველგან იმაზე მოგითხრობენ, რომ მათ ცოტა ჯამაგირები აქვთ და სხვა.

ნუ თუ მუშათა კოოპერატივს არ შეუძლიან ისე მოაწყოს მუშების ეკონომიური საქმე, რომ მათ არ გაუჭირდეთ ცხოვრება?! მაშ რაშია საქმე? ჩვენ დავაარსეთ ჩვენი მუშური კოოპერატივები მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენი მუშების ეკონომიური მდგომარეობა გაგვეუმჯობესებინა ამ საშინელ ეკონომიურ კრიზისის და ცხოვრების ზღაპრული სიძვირის დროს. მუშკოოპები კი არამც თუ საერთოდ მუშათა მასას, არამედ იქვე, შიგ მომუშავეთ ვერ აკმაყოფილებენ ამ მხრივ, ეს კი ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელი რამეა ჩვენს მუშკოოპებს უნდა დაუნიშნოთ სერიოზული და მასიური მუშათა კონტროლი, რომ ცოტათი მაინც მოგვარდეს მისი ქაოტიური მეურნეობა და აპარატი.

მუშკორი ახალ-ამწყობი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(საცხოვრებელ ბინების შესახებ)

კითხვა: აქვს თუ არა კერძო პატრონს, ან და მუნიციპალიზაციაქნილ მფლობელობათა (სახლებთა) მოიჯარადრეს უფლება გააქირავოს საცხოვრებელი სივრცე (ბინა) კონტორისა ან რაიმე საკომერციო საწარმოსათვის?

პასუხი: მუშა-მოსამსახურეთა საბინაო საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით ასეთი მოქმედება სახლის პატრონს, ან მოიჯარადრეს სასტიკად აკრძალული აქვს და ყველა ამნაირად ჩასახლებული კონტორა, ან საწარმოო, ადმინისტრატიული წესით (მილიციის საშუალებით) უნდა იქნეს გამოსახლებული ერთი თვის განმავლობაში.

კითხვა: კერძო პატრონს აქვს თუ არა უფლება ადმინისტრატიული წესით თავის სახლიდან გამოასახლოს მუშა-მოსამსახურე?

პასუხი: სახლიდან მდგმურის გამოსახლება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს წესით.

კითხვა: რა შემთხვევებში შეიძლება სასამართლოს წესით ბინიდან გამოსახლებულ იქნეს მუშა-მოსამსახური?

პასუხი: ბინიდან მდგმურის გამოსახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში: ა) როდესაც ის მტაცებლურად ეპყრობა ბინას, რაც იწვევს მის გაფუჭება-დანგრევას და დაჭუჭყიანებას, ბ) თუ კი ის ბინაში ქმნის ისეთ პირობებს, რომ სახლში მასთან ცხოვრება შეუძლებელია და გ) თუ კი მდგმური არ გადაიხდის ბინის ქირას მიუხედავად იმისა, რომ მას ამის საშვალება აქვს.

კითხვა: აქვს თუ არა სახლის პატრონს, ან მოიჯარადრეს უფლება სახლის კაპიტალური კეთების მიზნით, მის სახლში მდგომ მუშა-მოსამსახურეს მოსთხოვოს ბინის განთავისუფლება?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში სახლის პატრონს, ან მოიჯარადრეს, აქვს სრული უფლება მოსთხოვოს თავის მდგმურების გამოსახლება, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც სახლის კაპიტალური შეკეთების აუცილებლობა დადასტურებული და შემოწმებული იქნება სატეხნიკო—სამშენებლო განყოფილების ორგანოს მიერ და იმ პირობით, რომ შეკეთების შემდეგ ბინა კვლავ დაეთმობა გამოსახლებულს. უკეთუ ეს უკანასკნელი ამას მოისურვებს.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა ადმინისტრატიული წესით კერძო პატრონის სახლში მუშა-მოსამსახურის ჩასახლება, ან სახლიდან გამოსახლება, ან და გადასახლება?

პასუხი: ყოველივე ეს, არსებული დეკრეტის ძალით, სასტიკად აკრძალულია და ამის დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხ. სამარ. კოდ. მუხ 109 ძალით და ამას გარდა პასუხს აგებენ სამოქალაქო წესით დაზარალებულის სასარგებლოდ სარჩენის გაღებით.

(იხ. დეკრეტი—საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსა მუხ.—6,—15,—13. „კომუნისტი" № 221—221.)

ზოგი ამხანაგები მიუთითებდნენ საკლუბო მუშაობის სისუსტეზე, ქვედა-უჯრედებსა და პროვინციასთან სუსტ კავშირზე. აღნიშნავდენ აგრეთვე საბინაო კრიზისს და კავშირის სრულს უმწეობას მის მოგვარებაში.

ზოგ ამხანაგებს კავშირის მუშაობის ზემოხსენებული შეფასება, უსამართლოდ მიაჩნიათ, რადგან, თუ მივიღებთ მხედველობაში ობიექტ. პირობებს ე. ი. მრეწველობის მდგომარეობას, ცენტ. გამგეობის მუშაობა უნდა ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად.

საპასუხო სიტყვაში ცენ. გამგეობის სახელით ამხ. მაჩაიძე სრულიად უსაფუძვლოთ სთვლის ახ. კომ. კავ. გამოლაშქრებას, რადგან კავშირმა არა თუ სავსებით გაატარა ახალგაზრდების წარმოებაში გაწესრიგება, არამედ 0,7 პროცენტით გადააჭარბა ნორმას.

საჰაერო ფლოტი იქნება

ა | წ. 12 ნოემბერს შესდგა ამიერკავკასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც დაესწრო ს. ს. რ. კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი ამხ. საბლინი. სხდომამ მოისმინა ამხ. საბლინის ვრცელი მოხსენება ს. ს. რ. კავშირში ს. ფ. მ. საზოგადოებების პერსპექტივებისა და შემდეგი მუშაობის შესახებ.

ამიერ-კავ. ს. ფ. მ. საზოგადოების პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მისი დადგენილებები სავსებით შეეფერება ს. ს. რ. კ. ს. ფ. მ. საზოგადოების სამუშაო გეგმას. გარდა ამისა პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკას. ს. ფ. მ. საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს მატერიალურ საშუალებათა მოხმარებას სამხედრო საჰაერო ფლოტის აშენებისათვის.

ამავე სხდომაზე მოსმენილი იქნა „ზაკავია"-ს მოხსენება, რომლის გამო სხდომამ გამოიტანა საორგანიზაციო ხასიათის მთელი რიგი დადგენილებებისა. სხდომამ დაადგინა მიიღოს საჭირო ზომები „ზაკავია"-სთვის შემდეგი ჰაეროპლანების გადასაცემად: „მუზმელსტროი"-ს, „აზდობროლიოტ"-ის და „ბოლშევიკ"-ის.

ჰაეროპლანების—„ზარია ვოსტოკა"-ს და „რობკორ"-ის აშენებისათვის და სხვა ორგანიზაციების მიერ შეკრებილი თანხები დაუყოვნებლივ გადაეცეს ამიერ.-კავ. ს. ფ. მ. საზოგადოებას და ამ ფულით შეძენილი იქნეს ჰაეროპლანები.

ამ სხდომაზე ამ.-კავ. ს. ფ. მ. საზოგადოების პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ორი ახალი წევრი: ამიერ.-კავ ს. ფ. მ. საზოგადოების საბჭოს წევრი ამხ. ამბარცუმიანი და ავიაციის სამხედრო კომისარი ამხ. ჩერვენკო

აღნიშნა რა გაზეთებში საგიტაციო კამპანიის შესუსტება, ამიერ-კავ ს. ფ. მ. საზოგადოების პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. ჩერვენკოს მოელაპარაკოს ყველა რედაქციებს, რათა საგიტაციო კამპანიის გაძლიერებისათვის მიღებულ იქნეს ყველა საჭირო ზომები.

ქრონიკა

— **გლეხთა კომიტეტები.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა დაადგინა ყოველმხრივ დაეხმაროს გლეხებს, საგლეხო კომიტეტების მოწყობაში, სადაც ასეთები ჯერ კიდევ არ არსებობენ.

— **გამრყვნელი გასართობის დახურვა.** ქ. ალმასკომმა დაადგინა მოსკოვის ქუჩაზე ახლად გახსნილი სათამაშო „ბედნიერების ბორბალი" დაკეტილი იქნეს, ვინაიდან ასეთი ტიპის გასართობების გახსნა საერთოთ აკრძალულია.

— **გლეხთა კომიტეტების მუშაობა.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა, ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებთან მოაწყოს საკანტორო და სარევიზიო ორგანოები, კომიტეტების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

— **ბავშვთა ვარჯიშობა გაკვეთილების შემდეგ.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა, რომ იმ კლასებში, სადაც მეცადინეობა სწარმოებს 3 გაკვეთილით, გაკვეთილების შემდეგ, ბავშვთათვის მოეწყოს თავისუფალი გონებრივი ვარჯიშობანი.

— **ერთდროული დახმარება დამსახურებულ მასწავლებლებს.** ქ. ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა, ერთდროული დახმარება აღმოუჩინოს ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით ქალაქის სკოლების 12 დამსახურებულ მასწავლებლებს.

— **საჭირო მასალების და ლიტერატურის ჩამოტანა რუსეთიდან.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა შეიძინოს რუსეთში საჭირო მასალები და ლიტერატურა საგლეხო კომიტეტებისათვის. ამ მიზნით კომისარიატი აგზავნის სპეციალურ წარმომადგენელს მოსკოვში.

— **საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა თათბირი.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა, რომ საბავშვო ბაღების ხელმძღვანელნი ხშირად იკრიბებოდენ სათათბიროდ ბაღებში მეთოდიური მუშაობის გასაცნობათ და საწარმოებლათ.

— **ქუჩის ბავშვების და ობოლი ბავშვების რიცხვის გამორკვევა.** მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებამ დაადგინა, საბავშვო სახლებში შემოიღოს ბავშვთათვის პირადი ბარათები ქუჩებისა და ობოლი ბავშვების რაოდენობის გამოსარკვევათ.

— **საბჭოთა დაწესებულებების შესასწავლათ.** დღეს, 15 ნოემბერს, ა | კ. ცენტრალურ ალმასრ. კომიტეტის ბინაზე (სასახლეში) შესდგება საბჭოთა დაწესებულებების შემსწავლელ კომისიის სხდომა მორიგი და მიმდინარე საკითხების გასარჩევათ.

— **ტფ. მცხოვრებთა ზრდა.** ქალაქის ალმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობებით იანვრიდან სექტემბრის განმავლობაში ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა კიდევ 9091 სულით.

— **დაქორწინება და განქორწინება.** სამოქალაქო აქტების ჩამწერ განყოფილების („ზაგსის") ცნობებით 1923 წლის 9 თვის განმავლობაში ტფილისში დაქორწინების შემთხვევა იყო—9207, განქორწინების—440.

— **შეღავათების შესახებ შრომის ბირჟაში.** საქ. პროფკავშირთა საბჭომ არ დაამტკიცა შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილება, უმუშევარ სტუდენტების სამუშაოზე რიგის გარეშე გაგზავნის და მათთვის შეღავათის აღმოჩენის შესახებ.

— **აღრიცხვის გადადება.** საბჭოთა მუშაკების კავშირის ყრილობის გამო, შრომის ბირჟასთან არსებულ საბჭოთა მუშაკების სექციაში უმუშევართა აღრიცხვა გადაიდო ერთი კვირით.

— **იაპონიის მუშების დასახმარებლათ.** მიწის ძვრისაგან დაზარალებულ იაპონიის მუშების დამხმარე კომისიის თავმჯდომარეთ, ა.—კ. ცენტ ალმ. კომიტეტის მიერ დაინიშნა ამხ. შავერდოვა.

— **შრომის ბირჟა.** 13 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—125 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—73, სამუშაოზე გაიგზავნა—36.

— **ნაპოვნი.** 5 წლის ბავშის მარცხენა ფეხის ერთი ფეხსაცმელი. დამკარგველს შეუძლია მოიკითხოს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში, რუსთაველის პრ. № 22—მე-3 სართული.

შემთხვევები.

— **თავდასხმა.** 12 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე მოქ. პავლე შალავირევს მარტყოფის ქუჩაზე თავს დაესხა ბოროტმოქმედი გაძარცვის მიზნით, რის თაობაზე შეიპყრეს პეტრე მარკინი.

— **ბინის გაქურდვა.** 12 ნოემბერს, საღამოს 9-10 საათზე, ნიკოლოზის ქ. № 37, გაქურდეს მოქ. ალექსი ტარასოვის ბინა, საიდანაც წაიღეს 3 მილიარდის ნივთები.

— **თავის დაჭრა.** 11 ნოემბერს, ვაკეში მოქ. ვასილ ქსენოფონტოვმა სასიკვდილოთ თავი დაიჭრა რევოლვერით. თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი ყოფილა მატერიალური გაჭირვება.

— **ქურდის შეპყრობა.** 10 ნოემბერს შეიპყრეს თედორე ქურავლიოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა სხვა და სხვა ქურდობაში.

— **ბოროტმოქმედთა შეპყრობა.** 10 ნოემბერს შეიპყრეს მიკირტუმოვი, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. გამრეკელის ბინის გატეხვა. ბრალდებული გამოტყდა დანაშაულობაში.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„ტოსკა".

სახელმწიფო ოპერის სცენაზე განახლებულ იქნა პუჩინის ოპერა „ტოსკა", რომელშიაც პირველათ ამ სეზონში გამოვიდა იტალიელი მომღერალი (ტენორი) ემილ. ვაგი.

ოპერაში ფლორიო ტოსკას მთავარ პარტიას ასრულებდა მოქ. პანკრატოვა; პარტიის ვოკალური გადმოცემა საუცხოვოა, მსახიობი ბევრ დრამატიზმს აქსოვს სიმღერაში; აქ არის მშვენიერი ფრაზა, დინამიკა, ტემპერამენტი. საუცხოვოა ლირიული ადგილები. ლოცვა ვოკალურის მხრივ შესრულებული იყო დამთავრებულათ და ხმის თანდათანობითი განვითარებით (crescendo).

პარტიის დრამატიული მხარე, რომელსაც კარდინალური მნიშვნელობა აქვს ოპერაში, მსახიობის მიერ ვერ იყო თანაბრათ გადმოცემული. არის უმაღლეს ემოციის მომენტები, მაგალითად, იქვიანობის პირველი სცენა (ტაძარში) მთელი სცენა სკარპიოსთან და უკანასკნელი სცენა—როდესაც ტოსკა გაიგებს, რომ მისი საყვარელი ადამიანი დახვრიტეს არა ცალიერი, არამედ ნამდვილი ტყვიებით. მეტად კარგია ფრაზა „და ეს კაცი, რომლის წინაშე თრთოდა მთელი რომი"; ეს ფრაზა ნათქვამი იყო ნახევარი ხმით, მაგრამ ისე, რომ ის ესმოდა მთელ თეატრს. მაგრამ სკარპიოს მოკვლის სცენა, განსაკუთრებით კი ის მომენტი, როდესაც სკარპიო წერს ნებართვას ტოსკასა და კოვარდოსის რომიდან გასვლის შესახებ—მკრთალი გამოვიდა. აქ მუსიკა მშვენივრათ ასურათებს ტოსკას სულიერ განწყობილებას და აქ სასურველია მეტი ლირიზმი. მკრთალი იყო აგრეთვე ის მომენტი, როდესაც ტოსკა დაინახავს სტილეტს და ერთბაშათ გადასწყვეტავს სკარპიოს მოკვლას,—აქ საჭიროა მეტი სიმართლე და ტემპერამენტი. საჭიროა მიმიკისათვის მრავალფეროვნების მიცემა.

კარგი და სტილიურია კოსტიუმები მეორე მოქმედებაში, სრულებით არ შეეფერებიან ისინი ეპოქას პირველ მოქმედებაში.

ვაგი მშვენიერი ვოკალისტია, მას დამთავრებულ სიმღერის წმინდა იტალიანური სკოლა აქვს, კარგია. ფრაზიროვკა, მას შეუძლია, ხმის თანდათანობითი განვითარება ყველაფერი ეს მეტად კარგია და აღტაცებას იწვევს მაყურებელში დამთავრებული გადმოცემით; ცოდნა სიმღერისა და სკოლა გვავიწყებს ხმის ზოგიერთ დეფექტებს (მაგალითად, ხმის სიმშრალე); მსახიობის ფართო დიაპაზონი აქვს და ის სრულიად თავისუფლად ხმარობს მაღალ რეგისტრებს.

პარტიის დრამატიული გაგება მეტად მკრთალია პირველ აქტში, მსახიობი როგორც ჩანს ღელავს, მაგრამ სამაგიეროთ საუცხოვო იყო მეორე აქტი და მთელი სცენა სკარპიოსთან და ტოსკასთან. მომღერალი ბევრ ტემპერამენტს აქსოვს პარტიაში. ბევრი ტემპერამენტია სკარპიოზე თავდასხმის სცენაში; სიმართლით იყო გადმოცემული გრძნობის დაკარგვის სცენა, ლირიზმით სავსეა ტოსკასთან გამოთხოვების სცენა (უკანასკნელი წერილი) აქ მსახიობს აქვს მშვენიერი mezzo-voce.

მეტად კარგი იყო ამ საღამოს სკარპიოს პარტიაში მოქ. დევლეტი. მან სისწორით დაასურათა ეს ადამიანი—მისი სარკაზმი, სიმკაცრე და თავხედობა. სკარპიო-დევლეტი დამშვიდებულია, ის არ ჯავრობს, მაგრამ ამავე დროს ის საშინელია. მსახიობი კარგათ მღერის პარტიას. მეტად მოხდენილია გრიმი და მიმიკა; სიკვდილის სცენა ბუნებრივათ და სისწორით არის გადმოცემული.

კარგი იყო ნიჟიერი დემიანენკო.

ტიპიური ჯაშუშია მოქ. კურბატოვი.

მწყობრათ და პოლიფონიურათ იყო შესრულებული კანტატა კულისებს იქით—კანტატის ფონზე მკაფიოთ ისმის ტოსკის ხმა.

ბრონს მწყობრათ ვერ მიჰყავს ორკესტრი. ის დიდის ტემპერამენტით იწყებს ოპერის შესავალს, მაგრამ ვერ იძლევა ნათელ მელოდიურ სურათს პირველ აქტში; სტილიურათ ვერ იყო შესრულებული მენუეტი. მაგრამ მეტად კარგია მუსიკალური ილიუსტრაცია მთელი იმ სცენის, რომელიც სკარპოსთან სწარმოებს,—აქ ორკესტრში ჩანს დინამიკა. კარგია უკანასკნელი სცენაც—განსაკუთრებით სცენის დასაწყისი, რომელიც გამსჭვალულია ლირიზმით (კოვარდოსის არია).

მუსიკოსი.

მწერალთა კავშირში

შაბათს, ათ ნოემბერს, ხელოვანთა სასახლეში კ. კაპანელმა წაიკითხა მოხსენება ტროპიზმსა და მარადობის იდეაზე. მოხსენება თითქმის განმეორება იყო იმისი, რაც მან დასწერა თავის წიგნში „სული და იდეა". მოხსენების ცენტრი იყო ტროპიზმი, როგორც ბიოლოგიური ფაქტი. ეს „ბიოლოგიური ფაქტი" მომხსენებელმა მიიღო როგორც ფუნდამენტალური მოვლენა ადამიანის მსოფლმხედველობისათვის. ტროპიზმით ახსნას შეეცადა მომხსენებელი ადამიანის ფსიხიკის და ფიზიკის.

ტროპიზმი კუთხური მოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ კუთხეს ადამიანის ორგანიზმისას, (მაგ. ფეხი, ხელი, თავი და სხვ.) და აგრეთვე ყოველ ინდივიდუალურ საგანს ბუნებისას აქვს თავის საკუთარი სული, თავის საკუთარი „ორგანიული მეხსიერება", თავის საკუთარი მსოფლმხედველობა.

აქედან მომხსენებელი შეეხო ფილოსოფიის ძირითად ამოცანებს: საკითხებს მატერიის, ლოღიკის, შემეცნების და სხ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენება ჩვეულებრივზე სუსტი იყო; ფილოსოფიურ პრობლემებში მან გამოიჩინა უცოდინარობა ყველა იმ საკითხების, რომელიც წამოჭრილია თანამედროვე ლოღიკაში, მატემატიკაში და სხვ.

მომხსენებელმა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა საკითხი ცენტრების შესახებ, რომელიც მთლიანობის სახეს აძლევს ამ კერძო „ტროპიკებს". მოხსენების სუსტი მხარეები აღნიშნეს ოპონენტებმა: კ. მეგრელიძემ, მ. გოგიბერიძემ, შ. დუდუჩავამ და მოხსენების ოფიც. ოპონენტმა პროფ შალვა ნუცუბიძემ, უკანასკნელის სიტყვა თითქმის ახალი მოხსენება იყო.

საპასუხო სიტყვაში მომხსენებელი უფრო სუსტი იყო.

მოხსენება დაიწყო დებოშებით, რომელიც მოახდინა „რამოდენიმე მთვრალმა ფუტურისტმა. საინტერესოა, ღებულობენ თუ არა ხელოვნების სასახლის მესვეურები რაიმე ზომებს ამ ტრადიციით განმტკიცებულ მოვლენის წინააღმდეგ?

ხულერთია.

— **საბავშვო თეატრი.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა მოიწვიოს ქალაქის სკოლების გამგეები საბავშვო თეატრის საკითხების გამოსარკვევათ.

— **ახალი ოპერა.** ახალგაზრდა კომპოზიტორმა ლეო ფალიაშვილმა დასწერა ოპერა „შოთა რუსთაველი", რომელიც მოწონებულია სახელოვნო კომიტეტისა და სარეპერტუარო კომისიის მიერ. ოპერა დაიდგმება მიმდინარე სეზონში.

— **არ. ჯორჯიაშვილის და კამოს ძეგლი.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე ამჟამად მუშაობს არ. ჯორჯიაშვილის და კამოს ძეგლებზე.

— **რევოლიუციონური სიმღერათა კონცერტები.** სახ. კონსერვატორიასთან არსებული აკადემიური გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, ამუშავებს რევოლიუციონურ სიმღერებს, რის შემდეგ ტფ. თეატრებში გამართავს კონცერტებს.

— **ბალეტის საღამოები.** სახ ოპერის მთავარი ხელმძღვანელი დისკოვსკი ამზადებს ბალეტის საღამოებს. პირველ რიგში დაიდგმება „შეხერაზადა".

დღეს თეატრებში.

— **რუსთაველის თეატრი**—სინგის „გმირი", თარგმანი რობაქიძის, დადგმა მარჯანიშვილის.

— **სახელმწიფო ოპერა**—„სოფლის პატიოსნება" და „ჯამბაზები".

— **სახალხო სახლი**—ლუნაჩარსკის „მეფის დალაქი".

პროვინციაში

ქ. გორი

ქალ. გორის მშრომელი ხალხი დიდი აღტაცებით მოელოდა 7 ნოემბერს.

ამ დღესასწაულისათვის წინდაწინ იყო გამოყოფილი სათანადო ორგანოთა მიერ დღესასწაულის მომწყობი კომისია.

ამ დღეს ქალაქი მორთული იყო რევ. ბელადთა სურათებით, არკებით, ყვავილებით, მწვანეულობით, წითელი დროშებით, პლაკატებით, ხალიჩებით და სხვ.

დილის 11 საათზე გამოდიან პარტიის წევრები, კომუნისტური ახალგაზრდობა, მას მოსდევენ საყოველთაო სამხედრო სწავლის ასეული, სპარტაკი, მთელი მოწაფეობა, ყველა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი, წითელი დროშებით, მთელი მშრომელი მასა. ხალხი აუარებელი იყო.

პროცესია მთავარი ქუჩის გავლით მივიდა კარლ მარქსის მოედანზე. შუადღის სრულ 12 საათზე საზეიმო მიტინგს გახსნილად აცხადებს ამხ. ს. ცხოვრებოვი, რომელიც აცნობს დამსწრეთ ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას.

შემდეგ სამაზრო პარტიულ კომიტეტის სახელით ლაპარაკობს ამხ. ა. სიამაიშვილი, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის გორის სამაზრო კომიტეტის სახელით ამხ. დავით კაპარავა, პროფესიონალურ კავშირების სახელით ამხ. ქ. ფრანგიშვილი. აგრეთვე ილაპარაკეს მრავალმა მუშებმა და გლეხებმა.

საღამოს გორის ქუჩები სავსე იყო ხალხით. ყველა ზეიმობდა და ხარობდა. ქალაქის ყველა კუთხიდან ცის სივრცეში მიდიოდა შუშხუნები. ადგ. სახალხო სახლში დადგმულ იქნა რევოლიუციონური შინაარსის პიესა; წარმოდგენას დაესწრო აუარებელი ხალხი.

გაბრიელ აბულაძე.

ახალი ბაგდანოვკა და ყანდაური (კახეთი)

შვიდ ნოემბერს თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ს მუშების საშეფო კომისია 6 კაცისაგან შემდგარი (ამათგან ორი ქალი) გაემგზავრა სადგურ ბადიაურში, მათთან იყო მე-18 საპიორის ბატალიონიდან ამხ. უსაჩოვი. კომისიამ წაიღო ხსენებულ სოფლებისთვის წითელი დროშები და მიულოცა სოფლის გლეხებს ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული. მატარებლის მისვლამდი სადგურ ბადიაურში თავი მოიყარათ ორი სოფლის გლეხობამ და მოწაფე ახალგაზრდობამ, მატარებელი გაჩერდა და წითელ დროშების დანახვაზე, როგორც ერთ ადამიანს, ერთათ ამოხდა ყველას გულიდან ვაშა და გაუმარჯოს ინტერნაციონალს. შემდეგ ამხ. ბარხუდაროვის ხელმძღვანელობით გაიხსნა საერთო მიტინგი. წითელარმიელმა ამხ. უსაჩოვმა რუსულ ენაზე გააკეთა მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ. მან განმარტა, თუ რამდენად თავისუფლათ გრძნობენ თავს მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლების დროს და როგორ იყვნენ ისინი დამონებულნი მეფის და კაპიტალისტების ბატონობის დროს. აღნიშნა აგრეთვე გერმანიის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობა.

ამის შემდეგ ასეთივე მოხსენებას აკეთებს ქართულათ ამხ. ქოდუხაშვილი თავის სიტყვაში ის სხვათაშორის, უსურვებს გამარჯვებას გერმანიის პროლეტარიატს, რადგანაც მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა და დამარცხება ჩვენი ქვეყნის საგრძნობელი უბედურებაა. ლაპარაკობს აგრეთვე კომკავშირის წარმომადგენელი.

ამის შემდეგ დროშები ჩაიბარეს ორივე სოფლის გლეხობამ. მიტინგმა მოხსენებათა გამო გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

მუშკორი ალ ბ—შვილი

ქორბოულის თემი (შორაპნის მაზრა)

ა | წ. 24 ოქტომბერს შესდგა კორბოულის თემის მრავალრიცხოვანი საზოგადო კრება. კრებას დაესწრნენ ათასზე მეტი ქალი და კაცი, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის პასუხის-მგებელი ორგანიზატორი ამხ. ზ. ტრაპაიძე შორაპნის სამაზრო პარტკომისა და სამალმასკომიდან ამხ. კლ. სულავა, ტარასი მგალობლიშვილი, კ. გამეზარდაშვილი და სხვები. კრებას თავმჯდომარეობდა უპარტიო მოქალაქე.

კრებაზე გამოტანილ იქნენ უკლებრივ ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც დღეს აწუხებენ კორბოულის თემის მოსახლეობას: კოოპერაციის აღორძინება, გზების და სკოლების შეკეთება, სამკითხველოების გამოცოცხლება, წარმოდგენების მოწყობა, აშენებულ წისქვილში დინამო მანქანის დადგმა და სხვ.

პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყველა კითხვებზე მისცეს კრებას საქმიანი ახსნა-განმარტებები.

მიმდინარე პოლიტიკური ამბები, განსაკუთრებით გერმანიის მდგომარეობა იქნა გასაგები ენით გაშუქებული კრების წინაშე მოწინავე ამხანაგების მიერ. ამხ. ზ. ტრაპაიძის თქმით, გერმანიის მუშების და ღარიბ გლეხობის მტრები და ორგულნი ჩვენი საკუთარი მოსისხლე მტრებადაც იგულისხმებიან და მათი განადგურება ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხია. საზოგადოებამ ფიცი დასდვა, რომ უსისხლოთ არ დავსთმობთ ჩვენს მუშურ გლეხურ წითელ დროშას.

მოწინავე ამხანაგები შეეხნენ აგრეთვე სამღვდელოების როლს თანამედროვე ცხოვრებაში. განმარტეს მათი თვალთმაქცობა, საბუთებით იქნა სააშკარაოზე გამოტანილი მათი მზაკვრული მოქმედება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თვით მოხუცი მორწმუნე გლეხობაც კი, ახასიათებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა ხუცების თვალთმაქცობას და გახრწნას.

ნაშუადღევის ექვს საათზე კრება დაიხურა, და ყველანი კმაყოფილნი დაიშალნენ. სასურველია ასეთი კრებების ხშირად მოწვევა.

ბ. ჭუმბურიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3-მე რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში, შესდგება 3-მე რაიონის უპარტიო მუშათა ფართო კრება.

დღის წესრიგში სდგას ამხ. ფარნიევის მოხსენება.

მდივანი გართაპეტიანი.

ერთიანი პარტიული დღისათვის.

მომხსენებლებმა ისარგებლონ შემდეგი მასალებით: ამხ. ტროცკის მოხსენებით რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე და გაზ. „პრავდა"-ში მოთავსებულ შემდეგი წერილებით:

„პრავდა" № 85—19 აპრილი 1923 წ. წერილი—„რუსეთის კომუნისტური პარტიის სოფლად მუშაობის საკითხის გამო".

„პრავდა" № 82—15 აპრ. „ოქტომბრის ზარის გუგუნი საქართველოს სოფლებში" მ. ორახელაშვილისა.

„პრავდა" № . . . . „კლასიური კავშირი სოფელთან"—ლარინის.

„პრავდა" № 81.—14 აპრ.—კამენიევის „თეზისები საგადასახადო პოლიტიკის შესახებ სოფლად".

„პრავდა" № 78—11 აპრ.—ამხ. ტროცკის თეზისები მრეწველობის შესახებ.

„პრავდა" № 75—5 აპრ.—სადისკუსიო ფურცელი—რუსეთის კომუნისტური პარტიის მუშაობის საკითხის შესახებ სოფლად.

„პრავდა" № 73—3 აპრ.—ამხ. კამენევის მოხსენება მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე.

„პრავდა" № 72—1 აპრ.—მუშათა და გლეხთა კავშირი ჩვენი რევოლიუციის დასაყრდენი ბურჯია.

„პრავდა" № 233—15 ოქტ. № 235—17 ოქტ № 237—19 ოქტ.—შეფობით განვამტკიცებთ კავშირს—კარპინსკისა.

„პრავდა" № 225—5 ოქტ.—შაკრატლებზე.—სარაბიანოვისა.

„პრავდა" № 223—3 ოქტ.—პურის ფასი და ჩვენი ამოცანები—ჩუბარისა.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ესსენი.

პროფკავშირული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— პარასკევს 16 ნოემბერს საღ. 7 საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა—არა-რუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლება.

— საღ. 6 საათ. ქართული ენის წრის სხდომა—არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლება.

— საღ. 7 საათ. ბუნების მეტყველთა წრის სხდომა სომხურ ენაზე.

— შაბათს, 17 ნოემბერს, საღ. 6 საათ. პოლიტეკონომიის წრის სხდომა სომხურ ენაზე.

— შაბათობით საღ. 6 საათ. პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 6 ს. სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა წრე ქართულ ენაზე.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 7 საათ. მარქსისტული წრე სომხურ ენაზე ამხ. ოღოსიანის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.
კავშირის საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ მოსკოვის ჟურნალ გაზეთებზედ ხელის მოწერა დეკემბრის თვისთვის **იწყება 20 ამა ნოემბრიდან და გრძელდება 29 ნოემბრამდე,** რის შემდეგ შეწყვეტილი იქნება ხელის მოწერის მიღება.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ექსპედიცია, წინდაწინვე აცხადებს რა ზემოაღნიშნულს, სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომ წინდაწინვე მოაწერონ ხელი დეკემბრისათვის, რადგან დანიშნულ ვადის შემდეგ ექსპედიცია ხელის მოწერას არ მიიღებს.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

734—3—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
[illegible] რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო [illegible] ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
(126 25 4)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანციხის
მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14.
(46—25—22)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 28.
78 25—15

დავკარგე „ნემსის" კავშირის წევრობის წიგნაკი ევა კირმიზოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 149 1—1

დავკარგე სიმწიფის მოწმობა მიღებული 1917 წელს ხონის ვაჟთა გიმნაზიიდან და ნიკ. აპოლონის ძე აბაშიძის სახელზე, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 148 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 891 | 116 1902 წ. ალექსანდრე ნატროშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 146—1—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი, № 52, სანდრო ცინცაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 147—1—1

„ზარია ვასტოკა" სტამბა საშა წულუკიძის ქ№ 4.